# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 იანვარი, 2014 წელი.

№9 (7390)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


## დაუჯერეთ ნაცბანდელებს და ქვეყანას „ააყვავებთ“!



6

### ხელფასებსა და ჯიბეებს გადაყოლილი ჩინოვნიკები

## „რუსებს პირში თითს თუ ჩაუდებთ, მკლავს მხრამდე მოგაჭამენ“

### - რას ფიქრობენ აფხაზეთში რუსეთზე




7

## „კულტურული რევოლუცია“,

### ანუ ჰკა მაგ წუნკლებსა! 3

წერილი შორეთიდან

## ჩვენ მამლუქები არ ვართ!!! 3

## ვის ვუდგამთ ძეგლებს? 9



## თავის ქვეყანაში ვისთვის შეიძლებოდა გადაეჭრა გზა ჯონ ფიცჯერალდ კენედის? 11



## რა დაკარგა ჩინეთმა კომუნის-ტური სისტემის შენარ-ჩუნებით? 5

### რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№9. ხუთშაბათი, 16 იანვარი, 2014 წელი.

# პატრიარქი მნიშვნელოვანი რელიგიური პერსონაა საქართველოში



**საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან შეხვედრა გამართა.**

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრის შემდეგ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში ვიზიტის შემაჯამებელ განცხადებებს დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე გააკეთებენ.

ამასთან, მცირე კომენტარი გააკეთა მაიკლ იენსენმა. მან აღნიშნა, რომ პატრიარქთან ჰქონდა ძალიან საინტერესო და მრავალ საკითხზე მსჯელობა.

ევროსაბჭოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა საქართველოს პატრიარქის დადებით როლს და აღნიშნა, რომ პატრიარქი მნიშვნელოვანი რელიგიური პერსონაა საქართველოში. მან ასევე განაცხადა, რომ შეხვედრაზე გაეცნენ არსებულ სიტუაციას, მათთვის მნიშვნელოვანი იყო შეხვედრაზე განხილული საკითხები, კერძოდ — რა შეუძლია, გააკეთოს ეკლესიამ პოლიტიკური თუ რელიგიური კუთხით საზოგადოების გასაერთიანებლად.

იანსენმა აღნიშნა, რომ მომავალშიც ექნებათ საპატრიარქოსთან კომუნიკაცია.

**პრემიერი**

# ბიზნესზე პოლიტიკური ზეწოლა აღარ არსებობს

**განვლილი წელი ურთულესი და ამავდროულად უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს განაცხადა.**



მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას კოჰაბიტაციის რეჟიმში მოუწია მუშაობა, რისი გამოცდილებაც ქვეყანას აქამდე არ გააჩნდა.

— განვლილი წელი ურთულესი და ამავდროულად უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ყოფილი მმართველი გუნდის მიერ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართულმა მოქმედებებმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ეკონომიკაზეც იქონია უარყოფითი გავლენა. ჩვენ გვესმის, რომ გასული წელი ასევე რთული იყო ბიზნესისთვისაც. ხშირად ასეთ გარემოში ბიზნესისთვის უფრო ადვილია მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, ვიდრე აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა. თუმცა, თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, რომ მუდმივი წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, და აღვნიშნო ის მიღწევები, რომლებიც ყველა თქვენგანმა კარგად იცის. ჩვენ მივაღწიეთ უმთავრეს მიზანს - დავამკვიდრეთ კანონის უზენაესობა. მოგეხსენებათ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კანონის მიმართ წინა ხელისუფლებას, და ეს მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ბიზნესის განვითარებისათვის. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში აღარ არსებობს პოლიტიკური ზეწოლა ბიზნესზე და საკუთრების უფლება საქართველოში დაცულია ისე, როგორც არასდროს, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**სოფელმა თვალში გამოიხედა**

# უფასო ხვნა-თესვის ახალი პროგრამა 2 კვირაში დაიწყება

**მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა მცირემიწიანი ფერმერი ახალ სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთვება. იგი შარშანდელი უფასო ხვნა-თესვის მსგავსი იქნება, თუმცა, გარკვეული ცვლილებები მაინც არის. ყოველ შემთხვევაში 800 ათას გლეხს მთავრობა წელსაც დაეხმარება და ამით სოფლის მეურნეობის სტიმულირება იგეგმება.**

ამჯერად პროგრამისთვის დაიხარჯება 90 მილიონი ლარი, საიდანაც 50 მილიონი საბიუჯეტო სახსრებია, 40 მილიონი ლარი კი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან გამოიყოფა. სახნავი ბარათების დარიგება თებერვლიდან დაიწყება.

შარშან მსგავსი პროექტისთვის გაცილებით მეტი თანხა იყო გამოყოფილი. პროექტის წლევანდელი ბიუჯეტი 90 მლნ ლარს შეადგენს, განსხვავებით 2013 წლისგან, როდესაც საგაზაფხულო სამუშაოებისთვის 195 მლნ ლარი დაიხარჯა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ პროგრამის ბიუჯეტის შემცირების მიზეზი განმარტა: „შარშან პროექტის ფარგლებში დაახლოებით 53 მლნ ლარი დაიხარჯა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად. მოგეხსენებათ, ერთი და იგივე ინვენტარი რამდენიმე წელს ვარგისია და შესაბამისად, ფერმერებს წელს აღარ მოუწევთ ინვენტარის შეძენა“.

2014 წლის საგაზაფხულო პროექტის მიხედვით 800 000-მდე მცირემიწიანი ფერმერები მიწის ფართობის მიხედვით დაიყოფა ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს. ეს კატეგორიებია: 1) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი; 2) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები.

ბენეფიციარები ისარგებლებენ ორი ტიპის ბარათით: 1) ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის დარიგდება სასოფლო-სამეურნეო ბარათი (ხვნის ბარათი, 2013 წლის პროექტით გათვალისწინებულის ანალოგიური); 2) სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, გასული წლისგან განსხვავებით, წელს ფერმერები ისარგებლებენ საბანკო პლასტიკური ბარათით, ე.წ. „აგრობარათით“. პირველი კატეგორიის ფერმერები მხოლოდ აგრობარათს მიიღებენ, რომელზეც 50 ქულა (50 ლარია დარიცხული) და შეეძლებათ, სასუქებისა და პესტიციდების შესაძენად გამოიყენონ, ხოლო მეორე კატეგორიის ფერმერები მიიღებენ როგორც 50-ქულიან აგრობარათს, ასევე, ხვნის ბარათს, რომლის ფულადი მოცულობა შეადგენს 140 ლარს 1 ჰექტარზე.

საყურადღებოა, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ყველა სოფლის მცხოვრები მიიღებს სახელმწიფო დახმარებას. შარშან ამ პროექტში ფერმერთა გარკვეული ნაწილი ვერ მოხვდა. მაგალითად, თბილისის ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ უგულავამ „გააქალაქელა“.

„შარშანდელი გამოცდილების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო ბარათებს წელს მაქსიმალურად ყველა ბენეფიციარი მიწის მფლობელი მიიღებს, ვინც 1,25 ჰექტარ ან მასზე ნაკლებ მიწის ნაკვეთს ფლობს. ხელი ასევე შეეწყობა თბილისისა და ბათუმისათვის შეერთებული სოფლების მოსახლეობას. ამის შესახებ თბილისის საკრებულოსა და აჭარის ხელისუფლებას ვაცნობეთ და შესაბამის ინფორმაციას უახლოეს დღეებში მოვიპოვებთ“, — აღნიშნა შალვა ფიფიამ.



„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშოების ხელშეწყობის პროექტი“ თებერვლიდან დაიწყება და აგვისტოში დასრულდება.

**ბექა დანელია**

**ინფორმაცია**

## თბილისში იყოს, მაგრამ ქუთაისს ეკუთვნოდეს?..

**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების ერთ-ერთ ვარიანტად, თბილისში, რუსთაველის №8-ში მდებარე შენობის ქუთაისისთვის გადაცემა იყოს განხილული.**

**როგორც აბაშიძემ „ინტერპრესნიუსს„ განუცხადა, წინადადებას, რომლითაც მისი კოლეგა ზურაბ ტყემალაძე გამოდის, თავადაც სერიოზულად აფასებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინიციატივა უმრავლესობაში განხილვის საგანი უნდა იყოს.**

**— ძალიან კარგია, რომ პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხზე ჩვენი კოლეგები ბევრს ფიქრობენ. ზოგადად იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტი დედაქალაქში უნდა დაბრუნდეს, საქმიანობა თბილისში გააგრძელოს და ახირება და შეცდომები, რაც წინა ხელისუფლებამ დაუშვა, უნდა გამოსწორდეს, ორი აზრი არ არსებობს. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ერთ ქალაქში განახორციელონ საქმიანობა, რაც არის სწორი და ადეკვატური. პარლამენტის თბილისში მდებარე შენობის ქუთაისის გამგებლობაში გადასვლას მე სერიოზულად განვიხილავ. სერიოზულად განვიხილავთ ყველა ვარიანტს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, საქართველოს პარლამენტმა თავისი საქმიანობა თბილისში გააგრძელოს. ასე რომ, წინადადებები არსებობს, ამ წინადადებებთან დაკავშირებით მზად ვართ, ვიმსჯელოთ, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ აბაშიძემ.**



## წავკისელები დეპუტატს პროკურატურაში უჩივიან

**წავკისის მოსახლეობის ნაწილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის გიორგი ფეიქრიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელის შეტანას აპირებს.**

**წავკისელები პროკურატურას ეფექტური და სწრაფი გამოძიების ჩატარებას და წავკისში „ბატონყმური წყობილების“ დასრულებას სთხოვენ. წავკისელების განცხადება ბრიფინგზე ჟურნალისტებს ადვოკატებმა ლექსო არქანიამ და არჩილ ჩოფიკაშვილმა გააცნეს.**

**წავკისში მაცხოვრებლების განცხადებით, ფეიქრიშვილი, თანამოზარეებთან ერთად, გარდაბნის რაიონში ჩატარებული მიწის რეფორმის პერიოდში გაცემული მიწის ნაკვეთების წილში იმყოფებოდა.**

**ლექსო არქანიას განცხადებით, დეპუტატმა გიორგი ფეიქრიშვილმა და მისმა ოჯახმა დანაშაულებრივი გზით დიდძალი ქონება დააგროვა. მისივე თქმით, წლების განმავლობაში ქონებას ფეიქრიშვილი დეკლარაციაში არ უთითებდა, ხოლო მოულოდნელად, 2013 წლის დეკლარაციის მიხედვით, ის მილიონერია.**

**— არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ფეიქრიშვილმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისთვის ლეგალური სახის მიცემა მოინდომა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ასევე მოქალაქეთა განცხადებით, მის მიერ ჩადენილია არა ერთი მძიმე დანაშაული. აღნიშნული დანაშაულების შედეგად წავკისელები დაზარალდნენ და დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიიღეს, - განაცხადა ლექსო არქანიამ.**

**ინტერპრესი**

# მერიას ტენდერების კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებენ

**თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი ნიკო ხაჩირაშვილი დედაქალაქის მერიას ტენდერების არასწორად და კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებს.**

**ხაჩირაშვილის განცხადებით, ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე ტერიტორია, სადაც სათამაშო მოედანი უნდა მოწყობილიყო, მერიამ იჯარით გასცა.**

ხელოვნურსაფარიან ტერიტორიაზე ავტომობილთა სადგომია განთავსებული. მისივე თქმით, მოსახლეობა ავტოსადგომის გაუქმებას და სათამაშო მოედნის მოწყობას ითხოვს. შესაბამისი თხოვნით, ადგილობრივებმა საკრებულოს უკვე მიმართეს. ნიკო ხაჩირაშვილის განცხადებით, ის დედაქალაქის მთავრობასა და ქონების მართვის სამსახურს ტერიტორიის იჯარით გაცემის კანონიერების შესწავლის მოთხოვნით მიმართავს.

საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის ნიკო ხაჩირაშვილის თქმით, საკითხზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება და თბილისის საკრებულო ყველაფერს გააკეთებს აღნიშნული პრობლემის მოსახლეობის სასარგებლოდ მოსაგვარებლად.

გზად, მომავლისკენ!

# პატრიარქის ინიციატივა და მინისტრის სტატისტიკა

**საპატრიარქოში მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად სპეციალური ჯგუფი შეიქმნა და პირველი შეხვედრაც უკვე შედგა. ზუსტად ამ დროს კი მთავრობა ირწმუნება, რომ შარშან 30 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, ანუ უმუშევრობა მცირდება.**

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით დაინტერესებული პირებისთვის პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა. შეხვედრას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უძღვებოდა. ილია მეორემ უცხოეთში სხვადასხვა დროს ვიზიტებისას ნანახი საწარმოების შესახებ ისაუბრა, რომელთა მფლობელებმაც ბიზნესის განვითარება მცირე თანხებით დაიწყეს. ეს იყო რძის,



მეფრინველეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი საწარმოები. უწმინდესმა მაგალითების მოყვანის შემდეგ აღნიშნა, რომ მსგავსი საწარმოების გაკეთება საქართველოშიც შეიძლება და მოსახლეობა სიღარიბესა და უმუშევრობას არ უნდა შეურიგდეს.

**„მინდა, ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე, სულიერ და მატერიალურ მომავალზე. ძალიან ხშირად გვესმის, რომ „წავალ უცხოეთში, იქ ვიმუშავებ, აქ სამუშაო ადგილები არ არის“. მინდა, მოგახსენოთ, რომ ჩვენ შეჩვეული ვართ უსაქმურობას, ადამიანი ეჩვევა უსაქმურობას, სიღარიბესაც.**

**აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიყავით და ვნახეთ: იქ ერთი ხე ხარობს, როგორც კარტოფილი მიწაში, ისე ისხამს ნაყოფს. იმას აგროვებენ და მთელი წელიწადი შემდეგ არაფერს აკეთებენ. აი, მათ მსგავსად ჩვენც არაფერს ვაკეთებთ. ბრძენმა ხალხმა იცოდა, დედაჩემი სულ გვაფრთხილებდა ბავშვებს, არ შეეჩვიოთ სიღარიბესო“,** — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა და დასძინა, რომ სიღარიბემ შეჩვევა იცის.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში შიმშილი იყო, რუსეთიდან ჩამოდიოდა მშიერი ხალხი. ბევრ ქართულ ოჯახს კი საჭმელსასმელი ჰქონდა. **„მახსოვს, ჩვენ ოჯახს ჰქონდა ძალიან ბევრი კარტოფილი, ღორის სალა, მწნილი, კიტრი, პომიდორი, კომბოსტო, არაფერი არ უჭირდა ოჯახს. თუ ადამიანი გონივრულად ხელმძღვანელობს ოჯახს, არაფერი არ უჭირს“,** — ამბობს პატრიარქი.

შეხვედრის მონაწილეებს პატრიარქმა მიმართა, ჰქონდა თუ არა რომელიმე მათგანს საკუთარი მცირე ბიზნესი და რამე გამოცდილება ამ მხრივ. რამდენიმე გამომსვლელმა სოფლებში მიწის ნაკვეთის დამტკიცების, ასევე ბანკებიდან 10 000 ლარამდე სესხების მიღებისა და გადამმუშავებელი საწარმოების შესაქმნელად პრობლემების შესახებ ისაუბრა. შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველოს ბაზარი უცხოური, დაკონსერვებული და სხვა სახის პროდუქციით გაჯერებულია, რაც ადგილობრივი პროდუქციის გასაღებას აფერხებს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, მსგავსი ტიპის შეხვედრები პერიოდულად გაიმართება და მცირე ბიზნესის დაწყების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ გამოცდილ ბიზნესმენებს შეხვდნენ, რათა გაარკვიონ, თუ როგორ დაიწყეს მათ საკუთარი ბიზნესის წარმოება.

**„თქვენ უნდა შვათ ახალი იდეები. მე გუშინ ქადაგებისას ვთქვი, ვილოცოთ, ვიფიქროთ, ვშვათ ახალი იდეები და ვიშრომოთ, პირველი არის ლოცვა, მერე — ფიქრია, ფიქრისგან ახალი იდეები იბადება, შემდეგ არის შრომა“,** — აღნიშნა პატრიარქმა.

კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია აღნიშნავს, რომ გამართული შეხვედრა მოთელვითი იყო, სულ მალე გადაწყდება როგორ და რა ფორმატით გაგრძელდეს მსგავსი ტიპის შეხვედრები. მისი აზრით, საპატრიარქო კონკრეტულ შედეგებამდე ვერანაირად ვერ მივა, თუ ხელისუფლება და ბიზნესი ერთად არ დადგა.

სანამ საპატრიარქო დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ახალი ინიციატივით გამოდის, ხელისუფლება უმუშევრობის შემცირებაზე საუბრობს. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, 2013 წლის დასაწყისიდან მესამე კვარტალის ჩათვლით, დაახლოებით 30 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

**„მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი შეფერხდა, წლის დასაწყისიდან მესამე კვარტალის ჩათვლით დაახლოებით 30 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, ანუ უმუშევრობა მცირდება. შესაბამისად, პროგნოზები უმუშევრობის ზრდასთან დაკავშირებით, უპასუხისმგებლოა“,** — განაცხადა ხადურმა.

ფინანსთა მინისტრის შეფასებით, სახელმწიფო ბიუჯეტი ადამიანებს არ უნდა ასაქმებდეს, თუმცა, ის, რომ ბიუჯეტში სახსრები იქნება მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ასევე ბანკებისთვის გათვალისწინებული 200 მილიონი, ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას.

**ეკა ბაქრაძე**

წერილი შორეთიდან

# ჩვენ მამლუქები არ ვართ!!!

**მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები მუხლს იყრიან იმ ჭეშმარიტი ქართველების წინაშე, ვინც ჩვენი თმაშევერცხლილი მსოფლიოს უდიდესი ავტორიტეტი, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია გაზარდა. ასევე, ჩვენ ვულოცავთ პრეზიდენტის მეუღლეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, მის შვილებს.**

**ნახევარი ცხოვრება საქართველოდან მოშორებით გავატარეთ. არასოდეს დაგვავიწყდება, რომ ქართველები ვართ, ჩვენი ღირსება არასოდეს დაგვიკარგავს. ჩვენ სამშობლოდან ძალიან შორს შევინარჩუნეთ ქართული გენი, მებრძოლი სული. ცხოვრების ქარიშხალმა იმდენი გვარყია, ცხოვრების სიმძიმე თანდათანობით გადავიტანეთ. სულის სიმარტოვეზე მეტი საშინელება არაფერი ყოფილა ქვეყნად. არც ომი, არც სისხლი, არც ცრემლი და არც სიკვდილი. ვერასოდეს გაიგებენ ყოველივე იმას, რაც ჩვენ გამოგვივლია, მაგრამ ყოველთვის ერთგულნი ვართ სამშობლოს, ერისა და ჩვენი პრეზიდენტის წინაშე. ჩვენ მოტოვებულნი ვართ ხალხისგან, არც კი გვიცნობენ. ვიცით, რომ ათიათასობით მოაზრე გვყავს საქართველოში, ვიცით რომ ერთმანეთის გულის ნადებს ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია. მტერს უპყრია პრესა-ტელევიზია, მასონური ამერიკა და ევროპა მშვიდად გვიყურებს როგორ ვიცლებით სისხლად ჭეშმარიტი ქართველები და მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები.**

**ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები მიწაში წვანან. ქვეყნის ზნეობრივად მაღალი პიროვნებები საპყრობილეში ჰყავთ გამოკეტილი. გადარჩენილნი კი, დასახიჩრებულნი და განდევნილნი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გადახვეწილი. ძალიან გვინდოდა, ჩვენს მიწაზე ვყოფილიყავით, რაღაც გვეკეთებინა სამშობლოსა და ხალხისთვის, მაგრამ სამშობლოს მოღალატეებმა და გამყიდველებმა არ მოგვცეს ამის საშუალება. ჩვენ მაშინ ქართველი მოღალატეების წინააღმდეგ ვერ ავწიეთ იარაღი, ჩვენ მაშინ უმწეონი ვიყავით, მაგრამ დღევანდელმა წესწყობილებამ ძალით მებრძოლებად გვაქცია. ჩვენო ჭეშმარიტო ქართველებო! არ შეიძლება იმათი ნდობა, ვისაც მასონური ამერიკა და ევროპა აპროგრამებს. ვერ ვენდობით მათ, ვინც საქართველო სისხლში ჩაახრჩო, ვინც სული ეშმაკს მიჰყიდა. 20 წელია, სატანის სამსახურშია მასონი ივანიშვილი თავისი დემონებით, მასონი შევარდნაძე თავისი ხუნტით და მასონი სააკაშვილი თავისი ბანდით. ეს ადამიანები ერის ქონებრივი და გონებრივი სიმდიდრის პარაზიტებია და ისინი უნდა გაქრნენ.**

**ჩვენო ჭეშმარიტო ქართველებო! გვჯერა, რომ ჩვენს სამშობლოში მრავლად არიან წესიერი, მუყაითი, მშვიდობიანი, პატრიოტი ადამიანები, ვის გულშიც არ განელებულა სამშობლოს, დიდი ზვიადისა და მერაბის სიყვარული. ჩვენ ვართ ერი, რომელმაც ათასჯერ გადაიტანა ცეცხლით გამოცდა, მაინც ვერ მოკლეს, ათასჯერ წამოდგა ფეხზე, კიდევ უფრო გამოწრთობილი.**

**ჩვენო ჭეშმარიტო ქართველებო!**

**ჩვენ, მსოფლიოს ყველა კეთილი ნებისა და რწმენის ადამიანები, გავერთიანდით სატანისტების ბნელი ზრახვების ჩასაფუშად, მალე დადგება დღე და ჩვენს სამშობლოში თავისუფლების მზე გაათბობს გარემოს. თავისუფლად დაბადებულ ადამიანებთან ერთად მოევლინებიან ქვეყანას თავისუფალი აზრები და გრძნობები. მათ არ ექნებათ წარმოდგენა იმაზე, თუ რა წყვდიადში გვიხდებოდა ჩვენ ცხოვრება, რა საშინელი იყო ჩვენთვის ბრძოლა. მთელი სიცოცხლე ამგვარ ბრძოლებს შევალიეთ და ახლა დაღლილ-დაქანცულნი ვეგებებით მზის ამოსვლას.**

**ჩვენი მთავარი მიზანია საქართველოს ხსნა. გვჯერა, რომ უფალი იხსნის საქართველოს და საქართველოს იხსნიან თავდადებული და თავგანწირული შვილები. საქართველოს იხსნიან კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლნი. მალე გვენახოს აღდგენილი საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.**

**ჩვენო ჭეშმარიტო ქართველებო, ღმერთი მოგივლენთ ისეთ სიხარულს, არც ერთ ერს რომ არ ღირსებია. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.**

საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლნი საზღვარგარეთიდან:

**გიორგი ციხისთავი, ბერდია ღუდუშაური, სალომე მწითური, გეგა ყაზბეგი, გიორგი ამაღლობელი, ლელა ჭინჭარაული, ნაილი ხომერიკი, დიანა სააკაშვილი, ლევან კორინთელი, ლაშა გამსახურდია, ეკატერინე სავანელი, სანდრო მარიამიძე, გიორგი გალდავა, ნატო ბოკუჩავა, გიორგი ჩოლოყაშვილი, დავით ჯანდიერი, ლევან ზაალიშვილი, დიტო შერმადინი, ნიკო საკრაული, ლექსო ყამარაული** — სულ 3031 მებრძოლის სახელით.

**სირია, დამასკო.**

გულის ბუხარი

# „კულტურული რევოლუცია“,

## ანუ ჰკა მაგ წუნკლებსა!

**რევოლუცია (revolution) — ლათინური წარმოშობის ფრანგული ტერმინია და ქართულად ძირფესვიან გარდატეხას, ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში ნახტომისებურ გადასვლას ნიშნავს. კოლაბორაციონიზმი — თანამშრომლობა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. ტერმინმა ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებში. საფრანგეთში კოლაბორაციონისტებს უწოდებენ იმ პირებს, რომლებიც ევროპაში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1939-1945 წლებში თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან.**

ალბათ, გაგიკვირდებათ, თუ რატომ დავიწყე ეს წერილი ამ ორი ტერმინის განმარტებით და თანაც ამ საახალწლო დღეებში. ახლავე მოგახსენებთ:

ყოველგვარი ღრმა ფილოსოფიურ-ისტორიული წიაღსვლების გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, ფაქტობრივად, რევოლუცია მოახდინა. ოპონენტს შეუძლია თქვას, ეგ რა რევოლუციაა, ხალხი მივიდა საარჩევნო ყუთებთან და ხმა იმ პოლიტიკურ ძალას მისცა, ვინც უნდოდაო. ნამდვილად არ დავეთანხმები, რადგანაც იმ საარჩევნო ყუთებთან მისვლამდე იყო ტერორიც, სისხლისღვრა, დევნა და, საერთოდ, წინარევოლუციური სიტუაციის ყველა პირობა, ხოლო 1 ოქტომბერს ხალხი გამოვიდა საკუთარი ხმების, საკუთარი არჩევანის, უზენაესი უფლების დასაცავად.

**ასე რომ, 2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მოახდინა და ელოდა, რომ მოხდებოდა „ძირფესვიანი გარდატეხა, ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში ნახტომისებური გადასვლა“.**

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ვერ მივიღეთ არამცთუ ძირფესვიანი გარდატეხა, ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა, უფრო უკეთეს, ქართული მენტალიტეტისთვის მისაღებ, უკეთეს ხარისხობრივ მდგომარეობაში არამც თუ ნახტომისებური გადასვლა, საერთოდ არანაირი ცვლილება არ მომხდარა და ამის დამადასტურებელი მაგალითი, ერთი შეხედვით, ყველაზე უწყინარმა ზეიმმა, საახალწლო კონცერტმა დაადასტურა.

ამ ღონისძიებას ორგანიზება საქართველოს კულტურის სამინისტრომ და თბილისის მერიამ გაუწიეს. შესრულების ტექნიკური მხარე „ალტერვიჟენ ჯგუფს“, ხოლო მუსიკალური პროდიუსინგი აჩიკო გულედანს და ბექა ჯაფარიძეს მიანდეს.

იხ. 4 გვ.

**გულის ბუხარი**

# „კულტურული რევოლუცია“, ანუ ჰკა მაგ წუნკლებსა!




**(მესამე გვერდიდან)** საახალწლო საღამოს წამყვანები „რუსთავი 2“-ის სახეები ვანიკო თარხნიშვილი, თიკა ფაცაცია, დიმა ობოლაძე(?) და ნიკა გრიგოლია იყვნენ.

ჯერ კიდევ წინასაახალწლო დღეებში რამდენიმე სკანდალური და დამაფიქრებელი ინფორმაცია გავრცელდა. ამბობდნენ, რომ კონცერტის მთავარი „მაკონტროლებელი“ ყველასათვის კარგად ნაცნობი მარინა ბერიძე იყო.

გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ქალბატონი მარინა ბერიძის „წყალობით“ დაიბლოკა მარიკა თხელიძე, თიკა ჯამბურია, კახა კუხიანიძე, ხოლო ანსამბლი „ფორტე“ ჯერ ამოიღეს მონაწილეთა სიიდან, ხოლო შემდეგ ისევ ჩასვეს.

მოკლედ რომ ვთქვა, ყველასათვის კარგად ნაცნობი მარინა ბერიძე დღესაც კულტურის სამინისტროს თანამშრომელია და, როგორც ვხედავთ, თავის გავლენას კვლავ ინარჩუნებს. არადა, ეს ის ქალბატონია, რომელიც მუდამ თავგადაკლული იდგა სააკაშვილის რეჟიმის სადარაჯოზე.

ცხადია, ამ წერილში კონცერტის მონაწილეთა პროფესიონალიზმზე არ ვისაუბრებ, რადგანაც იმის შეფასება, თუ ვინ როგორ მღერის, გემოვნების საკითხია და, როგორც მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დავობენ (არადა, პრინციპში ყველაზე მეტად, სწორედ გემოვნებაზე დავობენ). არ ვილაპარაკებ ყოვლად უნიათო კულტურის მინისტრზე, რომლის „წყალობითაც“ შეიძლება საყდრისის მაღაროს უნიკალური ძეგლი განადგურდეს (პრინციპში გურამ ოდიშარიას საახალწლო კონცერტი ვერ ჩაუტარებია ნაცბანდის გარეშე და საყდრისის ძეგლს როგორ მოუვლის). უბრალოდ საფრანგეთის ისტორიიდან ერთ მაგალითს მოვიყვან:

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციისას შეიქმნა დაახლოებით 15 ათასამდე შერეული გერმანულ-ფრანგული ოჯახი. საფრანგთის განთავისუფლების შემდეგ ფრანგმა ხალხმა ლინჩის წესით გაასამართლა გერმანელ ოკუპანტთა მეუღლეთა და საყვარელთა უმრავლესობა. ქალებს ხოტრავდნენ თავს და ნაცემებს ნახევრად შიშვლებს ატარებდნენ ქუჩაში.

ახლა არ მითხრათ, მეუღლეები და საყვარლები რა შუაში არიანო.

თავშია ბატონებო, თავში! უბრალოდ ვიტყვი, რომ მაშინ, როცა იცი თუ როგორ ართმევენ შენს თანამოქალაქეებს სარჩო-საბადებელს, როცა შენი პენსიონერი მეზობელი ნათურასაც ვერ ანთებს იმიტომ, რომ გადახდის საშუალება არა აქვს, როცა ქვეყანაში 77 000 ბავშვი შიმშილის ზღვარს მიღმაა, როცა ადამიანებს ქუჩაში ხოცავენ და შენი სცენიდან ასიოდე მეტრში მდებარე მაღაზიის თავზე გვამებია შემოწყობილი და როცა უამრავი სხვა უბედურება ხდება, რეჟიმისთვის სიმღერა, ცეკვა, ღლიცინი, ტაშ-ფანდური და ერთი ადგილის ლოკვა იმ ფრანგი ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულზე გაცილებით უარესია.

თქვენ წარმოიდგინეთ და ეკა კახიანის მსგავსად, მათაც „უნდოდათ ჭამა“ და, „ჩვენი“ შოუბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენლისგან განსხვავებით, მხოლოდ საკუთარ სხეულს ყიდდნენ. ამათ კი სხეულთან ერთად სულიც გაყიდეს (რაც შეეხება სიტყვა „საყვარლის“ პირდაპირ მნიშვნელობას, ჭორიკნობას არ დავიწყებ, მაგრამ უბრალოდ ვიტყვი, რომ თბილისი პატარა ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის. აქ არაფერი არ იმალება).

**მიხეილ სააკაშვილმა ძალაუფლების აღების პირველი დღეებიდანვე თავისი „კულტურული რევოლუცია“ წამოიწყო. უფრო სწორად რომ ვთქვა, გააგრძელა ლიბერასტი იდეოლოგების მიერ დაწყებული შეტევა ნამდვილ ღირებულებებზე. იმ ფასეულობებზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა. „ჩარეცხა“ ნამდვილი კულტურა და ფართო გზა გაუხსნა უგემოვნობის ნიაღვარს.**

ერთ-ერთ ჩემს გადაცემაში, რომელიც აგვისტოს ომიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მქონდა მედიაკავშირი „ობიექტივის“ ეთერში, მე, დავით მხეიძემ და შალვა ოგბაიძემ ვისაუბრეთ ე.წ. ქართულ შოუბიზნესზე და შევადარეთ რუსულ ესტრადას. მაგალითისთვის ვაჩვენე რამდენიმე რუსული და ქართული კლიპი.

მაშა რასპუტინა, ანსამბლი „ლუბე“ უმღერიან რუსეთს, სამშობლოს, მის სიძლიერეს. მსმენელში პატრიოტიზმს და მომავლის რწმენას აღვიძებენ.

ქართველი „მომღერლები“ კი „პაჭკა-პაჭკა დოლარების“ ჩამოცვენას ნატრობენ (ნინა წკრიალაშვილი, თიკა ფაცაცია, კახუჩელა). სთხოვენ „სატრფოს“, რომ „სხვას არ მისცეს“ (ამ სიმღერის ერთ-ერთი „შემსრულებელი“ გოგა ხაჩიძე ჯერ გუბერნატორი იყო, მერე „მიშა მაგარიაო“ დაწერა და მინისტრი გახდა. ახლა კი პარლამენტის წევრია).

ბუნებრივია, რომ ეს ექსპანსია ვერ განხორციელდებოდა მედიის აქტიური ჩარევის გარეშე. ტელევიზიებში გასული ე.წ. „შოუები“ აქტიურად აპიარებდნენ ერის ინტელექტუალურ გენოციდს. დამკვიდრდა თიკუნი — „ცნობადი სახე“ და ეს ე.წ. „ცნობადი სახეები“ ხშირად ერთი შოუს ჩაწერიდან, მეორე შოუში ფართხაფურთხით დარბოდნენ და ტელემაყურებელს რომელ არხზეც არ უნდა გადაერთო, ერთსა და იმავე „ფეისებს“, ერთსა და იმავე ფრაზებს, ერთი და იმავე ისტორიებს ისმენდა.

არც ე.წ. „ყვითელი პრესა“ ჩამორჩა ამ რბოლას. „რა ფერის საცვლები აცვია“ ამა თუ იმ მომღერალს. „ვის აკოცა გუშინ ღამით“ ამა თუ იმ მოდელმა (ქართული მენტალიტეტი მაინც სძლევდა და სტატიის ბოლოს ირკვეოდა, რომ დედას აკოცა).

ერთი შეხედვით, სასაცილოა. კი პრინციპში მართლაც სასაცილოა, მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც ამ უგემოვნობისთვის უნდა დაეცინა, არ ჰქონდა ის მასშტაბები, რითაც თუ არ გადაფარავდა, გარკვეულ რყევას მაინც შეიტანდა ფართო ფრონტით გაშლილ სისულელის ზეიმში.

არ მოგწონს და გადართე! იყო ასეთი კომენტარებიც.

ვერ გადართავ. სამწუხაროდ, ვერ გადართავ, რადგანაც, ჯერ ერთი, რომ მოსახლეობის დიდ რაოდენობას ფართო არჩევანის საშუალება არ ჰქონდა, და ვერ გადართავ კიდევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ შოუებიდან ერთი უმთავრესი მესიჯი მოდიოდა: — ხომ ხედავთ რა კარგად არის ყველაფერი. აქვე, აი შენგან სულ რაღაც №კილომეტრში და სულ მალე შენთანაც მოვა. ხომ ხედავ რამდენი ნიჭიერია, რამდენი შოუმენი. ოღონდ უნდა დარეკო, გაგზავნო SMS შეტყობინება და შენი ფავორიტი გაიმარჯვებს (დუტა სხირტლაძე და ზემოთ ნახსენები მარინა ბერიძე „ერთ-ორ კაპეიკს“ შეიტანენ სახლში, მაგრამ ეს უკვე შენი საქმე აღარ არის).

**ექსპანსია ლიტერატურაში. ერეკლე დეისაძის, ზაზა ბურჭულაძის, ლაშა ბუღაძის და მრავალი სხვა მსგავსი „მწერლის“ გაუკუღმართებული სექსუალური ფანტაზიების პიარი.**

**ფილმები, რომლებშიც ჯერ ყველა ნაცრისფერი „ქუჩის დღეებით“ ვცხოვრობდით და მიშას მოსვლის შემდეგ „ოცნების ქალაქში“ გადავსახლდით.**

ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ:

**„მიხეილი, მიშა სააკაშვილი შეიყვარა საქართველომ ისე ძლიერად, როგორც მას დიდი ხანია არავინ არ ყვარებია. ეროვნული გმირი ენატრებოდა, გამარჯვებების მომტანი გმირი ენატრებოდა საქართველოს და მან მიიღო იგი...“**

**„მიხეილ სააკაშვილი ვაჟკაცური ბუნების და მებრძოლი სულის მქონე ადამიანია. განათლებული, ერუდირებული, სწორუპოვარი პოლიტიკოსია...“**

**„ენერგიულ, განათლებულ, თავგანწირულ მიხეილ სააკაშვილში ერმა ნამდვილი გმირი და წინამძღოლი დაინახა. წინამძღოლები კი იშვიათად იბადებიან“.**

**„მიხეილ სააკაშვილი ჯერ საქართველოს, შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდება... მასში შერწყმულია სტალინის, შევარდნაძის და გამსახურდიას ფენომენები...“**

ეს გამონათქვამები თანამედროვე ქართული გაზეთებიდანაა ამოღებული. ეს არის ხალხის ხმა, იმ ხალხისა, ვინც ეძებდა და იპოვა კიდეც წინამძღოლი — ომახიანი, უშიშარი, განათლებული გმირი, ვინც ხუთჯვრიანი დროშით გაუძღვება ერს საოცნებო მომავლისაკენ!

იპოვა ნანუკას შოუში, იპოვა მაიკოს შოუში, იპოვა კომედი შოუში, იპოვა „რუსთავი 2“-ზე, „იმედზე“, საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

მერე მოხდა რევოლუცია. გაჩნდა იმედი, რომ ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში ნახტომისებურად გადავიდოდით.

ამბობდნენ, „თბილისში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიანო“. დღესაც ეგრეა. კვლავ იგივე „ცნობადი სახეები“ სხედან ტელეეთერში, კვლავ იგივე ისტორიები, კვლავ იგივე პიარი.

2013 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის შემოსვლამდე ათიოდე წუთით ადრე, აივანზე გავედი. ჩემი ფანჯრის წინ ნაგვის ბუნკერში შუა ხნის მამაკაცი იქექებოდა. ბუნკერში სავარაუდოდ საჭმლის, ან ძველმანების მძებნელი როგორ არ მინახავს, მაგრამ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ახალი წლის ღამეს ემოციები უფრო გამძაფრებულია და ამიტომ საახალწლო ეთერში გაშვებული ყველა შოუ, რომლებშიც ისევ ის ძველი „ცნობადები“ ყელყელაობდნენ, ამაზრზენი გახდა.

ამაზრზენი გახდა იმიტომ, რომ ის ხალხი, ვინც თავს იწონებდა თავისი ხელით მომზადებული გოზინაყით, „რუსთავი 2“-ის შუადღის გადაცემაში ნასწავლი, ლობსტერის კუდისგან მომზადებული საცივით და პარაგვაულად შემწვარი გოჭით, ქმნიდა იმ რეჟიმს, რომელმაც ის კაცი ამ დონემდე მიიყვანა. ისინი უმღეროდნენ, ართობდნენ, უწვებოდნენ წინა რეჟიმს და დღესაც „ცვეტში“ არიან.

ერეკლე მეორე ბრძოლის წინ თავის მეომრებს შეუძახებდა: — ჰკა მაგ წუნკლებსა!

წერილს სათაურად ერეკლეს ეს შეძახილი დავარქვი და დასრულებითაც ამ მოწოდებით დავასრულებ:

— ჰკა მაგ წუნკლებსა!

**გია გაბრიჭიძე**

**კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები

**● აჰა, ეს საახალწლო დღესასწაულებიც მიიწურა.**

**ყველანაირი და ყველანაირად.**

**აღარ დადგა დრო, რომ ქვეყანაში რამე მოხდეს?**

**ჯანდაბას, თუნდაც რამე კარგი!**

**მაგალითად, ეს პარაზიტი დამკვირვებლები რომ გავყაროთ ქვეყნიდან კინწისკვრით! რა, ზღვის გოჭები ვართ, რომ გვაკვირდებიან?! ბოლოსდაბოლოს, წაიყვანონ ეს კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურები, თავისთან დააკვირდნენ და მერე შედეგები შეგვატყობინონ ელექტროფოსტით ან სოც.ქსელებით. ჩვენი უსაქმურები არ გვყოფნის, სხვები რომ არ ვაგულაოთ?!**

**რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ და დავაი, შევუდგეთ საქმეს.**

**ახლა კი დროა, სოლომონ, რომა...**

**● ღმერთო!**

**ზოგს რომ დაბადებ, გეხვეწები ინსტრუქციაც გამოატანე.... ბიჯოს...**

**● 1 იანვარს რო თოვლის ბაბუა იყო ჩამოსული, მეორედ გამოიარა ამხელა გზა, თუ სასტუმროში ცხოვრობდა ეს 2 კვირა?**

**● დაიშალეთ, მეგობრებო,**

**ახალ წლამდე დარჩა 352 დღე!**

**● რა ნაცნობი ფრაზეოლოგიაა: „ექსტრემისტები, „ყველაზე ცნობილი ანტიდასავლური დაჯგუფება“... იგივე ფრაზა წარმოსთქვა ევროდეპუტატმა გომესმა, როცა მე, ირმა ინაშვილს მახსენებდა და სწორედ ფურცლიდან კითხულობდა ჩემს გვარსა და სახელს. მაშინ ბრიუსელიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ევროდეპუტატებს ჩემს შესახებ ნეგატიურ ინფორმაციას გიორგი კანდელაკი აწვდის. ახლა, ეს სასაცილო და სამარცხვინო არ არის?! შე, ვირთხა, შენა, პოლიტიკურო ნახევარფაბრიკატო, რა ალიანსზე საუბრობ?! მთელი თქვენი პარტია მწამებლებითა და სადისტებით იყო და არის სავსე?! ყველას მოგთხოვთ პასუხს იმ დანაშაულისათვის, რაც ჯოლოხავას წინააღმდეგ ჩაიდინეთ! გამოძიება დაიწყება და ყველა სათითაოდ დაიკითხებით. და თუ ამას არ გააკეთებს ახალი ხელისუფლება, მაშინ მოვა სხვა ხელისუფლება, რომელიც თქვენ, ვირთხებო, ყველას ერთად გაგასამართლებთ!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ






# რა დაკარგა ჩინეთმა კომუნისტური სისტემის შენარჩუნებით?

**როდესაც აწმყო გაუსაძლისია, როდესაც მომავლის პერსპექტივა გაურკვეველი და ბურუსით მოსილია, კაცი თავის დასამშვიდებლად წარსულზე ფიქრობს. წარსულზე, რომელიც არასდროს დაბრუნდება, ისე, როგორც შემოდგომით ხიდან ჩამოცვენილი გამხმარი ფოთლები ველარ დაფარავენ მის ტოტებს. მხოლოდ გაზაფხული მოიტანს ახალ სიცოცხლეს, კვლავ მწვანე ფოთლებით შემოსავს ხეს.**

საქართველოს მოსახლეობა უკვე მერამდენე გაზაფხულს ელოდება, ელოდება იმედით, მაგრამ ის ნანატრი გაზაფხული არ დგება და იმედგაცრუებული ჩაილაპარაკებს – რა კარგი დრო იყო!

სინანულით ჩამლაპარაკებელთა რაოდენობა დღითი დღე კლებულობს ცხოვრებისეული კანონიდან გამომდინარე და იმ გამხმარ ფოთოლს ემსგავსება, რომელიც ტოტს უკან ველარ შეაფრინდება. ახალი ფოთოლი ახალ ცხოვრებას იწყებს, ისე, როგორც ადამიანი – სხვაგვარი მიდგომით, სხვაგვარი განცდით ცხოვრებისადმი. მისთვის წარსული, სხვათა მიერ გადმოცემული, დაუჯერებელი, მიუწვდომელია.

მიდის თაობა, რომელმაც სხვა სამყაროში, სხვა სისტემაში იცხოვრა წინააღმდეგობებით აღსავსეში, მაგრამ მაინც ისეთში, ტვინს, ტკბილ მოგონებად რომ შემორჩა. გაივლის ხანი და ძველის გამხსენებელიც აღარავინ იქნება. ის ცხოვრება სახელმძღვანელოებში, წიგნებში შემორჩება, რომელსაც ან წაიკითხავენ, ან – არა, ან დაიჯერებენ, ან – არა.

**არადა, მართლაც, ძნელია დაიჯერო ის, რაც იყო – მოსახლეობისთვის უფასოდ დარიგებული ბინები, მიზერული გადასახადები გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე. ძნელია, დაიჯერო ონკანიდან მოთქრიალე მდუღარე წყალი, ცენტრალური გათბობით გაღუღუნებული ბინები, მარტის ბოლოს მოწუწუნე მოსახლეობა – გათბობა გამორთეთ, დავიღრჩეთო. ძნელია, დაიჯერო უფასო უმაღლესი სასწავლებლები, უიაფესი სამედიცინო მომსახურება, უიაფესი საგზურები ზამთრისა თუ ზაფხულის კურორტებზე და, რაც მთავარია, გარანტირებული სამუშაო ადგილები, სტაბილური ხელფასები და ა.შ.**

სოციალური მდგომარეობა – ადამიანის არსებობის უმთავრესი პირობა, აშკარად წონიდა კომუნისტური წყობისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ფასს კარგავს ე.წ. დამოუკიდებლობა, როდესაც გაზი გაქვს, მაგრამ არ რთავ უფულობის გამო, შუქი გაქვს და არ ანთებ ძვირი გადასახადის გამო. გეჩქარება და ტაქსში არ ჯდები სიძვირის გამო. აფსუს – კილომეტრზე ოცკაპიკიანი საბჭოთა ტაქსები, ან უიაფესი საქალაქო ტრანსპორტი?!

**ძნელია, გაათბო თუნდაც ერთოთახიანი ბინა, როდესაც შემოსავალი გაცილებით ჩამოუვარდება გათბობის გადასახადს. ძნელია არ იწუწუნო, როდესაც თვის ბოლოს ერთმანეთზე „მიკერებულ“ შუქის, წყლის და ნაგვის ქვითარს იღებ. აფსუს, საბჭოთა საქართველოს, რომელმაც არცკი იცოდა, ვის გაჰქონდა ნაგავი, მით უმეტეს ნაგვის ფული.**

სულ რაღაც 20 წელიწადზე ოდნავ მეტი გვაშორებს იმ კომუნიზმიდან, რომელშიც ვცხოვრობდით და არ ვაფასებდით, თანაც დავცინოდით – ეს რა ცხოვრებაა, სად არის დანაპირები კომუნიზმიო. იმჟამინდელ-ამჟამინდელი ცხოვრების შედარებისას - იმ ცხოვრების მომსწრენნი გულდათუთქულნი ამბობენ – კომუნიზმში გვიცხოვრიაო.

საბჭოური ცხოვრებისადმი პოზიტიური განწყობა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, დღევანდელ დამოუკიდებელ ქვეყანაში იგრძნობა და თუ ჩვენში მას (განწყობას), ხელისუფალთა წყალობით, დიდი გასაქანი არ აქვს, სხვაგან გასაქანიც აქვს და სახელმწიფო მართვაზე გავლენაც.

საქართველო ამ მხრივადაც განსხვავებული ქვეყანა გამოდგა – საბჭოური ცხოვრების მოჭარბებული მლანძღველი. არსად სხვაგან, თუ მხედველობაში ბალტიისპირელებს არ მივიღებთ, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი არ გაუხსნიათ. არადა, ის ავადსახსენებელი ბოლშევიკური სისტემა ხომ ქართველთა გარჯის ნაყოფიც იყო?

**საქართველოს ბოლო ათწლიანმა ისტორიამ, მისმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, საზოგადოებაზე ჭარბი ზეწოლით მოახერხა ძველის გაშავება და ისეთ დონეზე დაყვანა, თითქოს საყოველთაო საშინელებაში გვეცხოვროს. არადა, სააკაშვილის პერიოდის საშინელების შემდეგ, შეიძლება ლანძღო საბჭოური წარსული?**

საქართველომ თავის კისერზე გამოსცადა შერჩევითი სამართალი, ტოტალური უმუშევრობა, მდარე და ძვირი განათლება, მდარე და უძვირესი სამედიცინო „მომსახურება“, უძვირესი კომუნალური გადასახადები, მიწასთან გასწორებული საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანთა ცხოვრება, ქვეყნის მშენებლობაში ჩადებული ფასდაუდებელი შრომისთვის, პენსიის სახელის მატარებელი მიზერული ანაზღაურება და ა.შ.

სააკაშვილის დემაგოგიური ბოდვა გუშინდელ ცხოვრებასთან დაკავშირებით, მარტო მისი დაავადებული ტვინის ნაყოფი არ იყო. ის მისი დასავლელი, კერძოდ ამერიკელი მასწავლებლების დავალებაც იყო. იმ მასწავლებლებისა, რომლებმაც ტრილიონები ხარჯეს საბჭოთა სისტემის დაშლისთვის და ამ გზაზე მერყევი, ფულს დახარბებული, გადაგვარებული „კომუნისტების“, მათ შორის გორბაჩოვის, იაკოვლევის, ელცინის, შევარდნაძის, სხვების გადაბირებისთვის, იმ ე.წ. ლიბერალური რუსეთის გაძლიერებისთვის, რომლისთვისაც სამშობლო საკუთარი კუჭიდან იწყება და თავდება.

რუსი ლიბერალები ისე, როგორც არასოდეს, დღესაც აქტიურობენ – მიზანი, ერთიანი რუსეთისთვის წყლის შეყენება და დაშლაა. მათთვის, ისე, როგორც მათი ამერიკელი დონორებისთვის, რუსეთის მდიდარი წიაღისეული მსოფლიოს და არა რუსეთისთვისაა.

მაინც როგორ ჰგავს რუსეთში გამომავალი ამერიკული ჟურნალის „The New Times“ მთავარი რედაქტორის ევგენია ალბაცის ნათქვამი - თუ ციმბირის მიწებს სხვები დაეპატრონებიან, დარდით თავს არ მოვიკლავ, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ნათქვამს - უსამართლობა უნდა მოისპოს და რუსეთის სიმდიდრეები ყველას კუთვნილება უნდა გახდესო.

გვიან, მაგრამ მაინც გონსმოსული რუსი ხალხი ათვითცნობიერებს, რომ კომუნისტური სისტემის ნგრევას ლამის სამშობლო გადააყოლეს, რომ ის კომუნისტური სისტემა გაცილებით ჰუმანური იყო, ვიდრე ეს კაპიტალისტური, რომელიც უბოძეს. და გამოფხიზლებული, სულ უფრო ხშირად სვამს კითხვას, რატომ არ აირჩია ისეთივე გზა, როგორიც ჩინეთმა? როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის კულმინაციის მომენტში, ქვეყნის სათავეში ლიბერალები აღმოჩნდნენ?

იგრძნეს რა „დერჟავნიკების“ მძლავრი გულისწყრომა, ლიბერალები, სხვა პროპაგანდას დაადგნენ – საბჭოთა სისტემა ისედაც განწირული იყო და მაინც დაინგრეოდაო. საბჭოთა ეკონომიკას ხალხის გამოკვების თავიც აღარ ჰქონდა და სხვა მსგავსი სენტენციები.

საბჭოთა სისტემა ისე იყო აწყობილი, მას ქვემოდან მომდგარი ქარიშხალიც ვერაფერს დააკლებდა. ეს იცოდა დასავლეთმა და ნაცადი ხერხი - ციხე შიგნიდან ტყდება, გამოიყენა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ჩინეთის კომპარტიამ გულდასმით შეისწავლა და გამოცდილი პარტიული მუშაკის დენ სიაოპინის პრაგმატული აზროვნებით, ხელი მიჰყო პარტიული აპარატისა და ქვეყნის რეფორმირებას.

კაპიტალიზმის ლურჯაზე მომხტარი ჩინური კომუნიზმი მას შემდეგ სასწაულებს ახდენს. კომუნისტური ჩინეთი დღეს მსოფლიოს მეორე ეკონომიკაა. თვით ამერიკელი ექსპერტების გათვლით, ეს ქვეყანა სულ რაღაც 5-7 წლის შემდეგ პირველი ეკონომიკა იქნება, აშშ-ს უკან ჩამოიტოვებს.

მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებით ჩინეთი მრავალი წლით და მრავალჯერ ჩამორჩება აშშ-ს და არა მარტო მას, თუმცა, 10 წლის შემდეგ განსხვავება მინიმუმამდე შემცირდება. 2012 წელს ხელისუფლებაში მისული ახალი გუნდი სწორედ ამას ისახავს მიზნად. ჩინეთის საშუალო ფენის განვითარებისთვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება – აი, ის მიმართულება, რომელსაც ახალი ხელისუფლება მიჰყვება.

სკეპტიკოსი ლიბერალები აცხადებენ, რომ ჩინეთი ვერ შეასრულებს დასახულ გეგმებს, რომ ქვეყანაში დაიწყება ქაოსი, დაპირისპირება, ჩინეთის კომპარტია ღრმა კრიზისში შევა და ა.შ. ეს ჰანგები რა ხანია ისმის, თუმცა, ჩინეთის პროგრესი არ ნელდება. „ამ სახის ჩინეთს დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენიაო“, - გაიძახიან რუსი ლიბერალები და მათზე აყოლილი ზოგიერთი ქართველი ექსპერტი. დავიჯეროთ, რომ ასე იქნება? ჩინეთში მიმდინარე პროცესები რომ საწინააღმდეგოზე მეტყველებენ?

**მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, დიდმა გამოცდილებამ ჩინეთის კომპარტიასა და საზოგადოებას არ მისცა წარსულის ხელაღებით ლანძღვის საშუალება. მაო ძედუნი ისეთივე დაფასებულია, როგორც წინათ. იშვიათად თუ ვინმე გაიხსენებს მისი მმართველობის ნაკლოვანებებს.**

**თანამედროვე ჩინეთმა არ გაიზიარა თანამედროვე რუსეთის ბრძოლა სტალინისა და სტალინიზმის წინააღმდეგ, არ გაიზიარა დესტალინიზაცია. მან, გუშინდელის ლანძღვის ნაცვლად, ახალი ცხოვრების შენებას მიჰყო ხელი. გუშინდელის ლანძღვაში არ დაიხარჯა, დრო არ დაკარგა.**

20 წელზე მეტი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან, მაგრამ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული სტალინის ლანძღვა დღესაც გრძელდება, თითქოს ამით რაღაც სანუკვარი კეთდებოდეს ხალხის კეთილდღეობისთვის.

**ჩინეთს რომ დემაოიზაციის პერმანენტული გზა აერჩია, დღეს, ალბათ, მოწინავე ქვეყნების რიგში არ იქნებოდა, ვერც წარმოებას გაზრდიდა და ვერც მსოფლიოში პირველი ქვეყანა იქნებოდა საგარეო ვაჭრობით. გასული წლის მონაცემებით, ჩინეთმა ამ დარგში ჩამოიტოვა აშშ. 2013 წელს ჩინეთის ექსპორტმა 4 ტრილიონი დოლარი შეადგინა, აშშ-ის 3.5 ტრილიონთან შედარებით.**

ჩინეთის ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც 2012 წლის ნოემბერში შეუდგა თავის მოვალეობას, გააანალიზა წინამორბედთა მიერ განხორციელებული სამუშაო და ქვეყნის განვითარების ახალი გეგმები დასახა. მას „ჩინური ოცნება“ დაერქვა, რომლის მიხედვით, ჩინეთის ეროვნული აღორძინება უნდა განხორციელდეს. ეკონომიკის დარგში გეგმას გამოკვეთილი პარამეტრები აქვს – 2021 წლისთვის საზოგადოების საშუალო ცხოცრების დონის მიღწევა, ხოლო 2049 წლისთვის – გაფურჩქნილი, მძლავრი, დემოკრატიული, კულტურის თვალსაზრისით განვითარებული, თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოს აშენება.

სულ ახლახან, ჩინეთმა გამოაცხადა ევრაზიის სივრცეში ორი ინტეგრაციული პროცესის დაწყება – დაფუძნებული ისტორიულ აბრეშუმის გზაზე. ყაზახეთში მყოფმა ჩინეთის თავმჯდომარე სი ძინპინმა განაცხადა, რომ ჩინეთი ორი მიმართულებით იმუშავებს – სახმელეთო აბრეშუმის გზის და საზღვაო აბრეშუმის გზის მარშრუტზე. პირველი ითვალისწინებს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩინეთმა აქტიური კავშირები ჩამოაყალიბა ამ რეგიონის ქვეყნებთან, განახორციელა რა ისეთი პროექტები, როგორებიცაა ნავთობსადენის მშენებლობა ყაზახეთთან და გაზსადენისა – თურქმენეთთან. ჩინეთი უკვე გახდა თურქმენეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. 2012 წლის მონაცემებით, ვაჭრობამ 10.37 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2015 წლისთვის ყაზახეთთან ვაჭრობა 40 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

2012 წელს ჩინეთის ვაჭრობამ უზბეკეთთან 2 მილიარდ 875 მილიონი დოლარი შეადგინა, ყირგიზეთთან – 5.6 მილიარდი. გაიზარდა ვაჭრობა ტაჯიკეთთან. ჩინეთი ყაზახეთს დაპირდა 30 მილიარდი დოლარის ინვესტიციას. დღეის მონაცემებით, ჩინეთის კომპანიები აკონტროლებენ ყაზახეთის ენერგომატარებლების 40%-ს. ახალ ინვესტიციებს შეპირდა ჩინეთი რეგიონის სხვა ქვეყნებს.

ჩინეთის წარმატება იმითაცაა გამოწვეული, რომ, ამერიკისგან განსხვავებით, ის ინვესტიციებს არასდროს უკავშირებს პოლიტიკას. ჩინეთი არ ითხოვს პოლიტიკურ რეფორმებს, არ სვამს უადგილო შეკითხვას – რაში დაიხარჯა ინვესტიცია.

რაც შეეხება მეორეს – საზღვაო აბრეშუმის გზას – ის ითვალისწინებს ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მიანმა, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები. ჩინეთი იქცა „ასეანის“(Association of SouthEast Asian Nations) წევრი ქვეყნების უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად. 400 მილიარდი დოლარი არის ორმხრივი ვაჭრობის შედეგი. ორმხრივმა ინვესტიციამ 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ჯაკარტაში ყოფნის დროს სი ძინპინმა განაცხადა, რომ „ასეანთან“ ვაჭრობა 2020 წლისთვის 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს.

ზემომოყვანილი მცირე მაგალითი ნუთუ არაფრის მთქმელია? ნუთუ ვინმემ შეიძლება ეჭვი შეიტანოს ჩინელთა გრანდიოზულ გეგმებში ან იფიქროს, რომ ამ ქვეყანას მალე ქაოსი შეჭამს? ცხადია, მრავალი ათეული წლის შემდეგ ჩინეთშიც შეიძლება მოხდეს რაღაც ძვრები, ჩინეთი აღარ იყოს ისეთი მძლავრი, თუნდაც, როგორიც დღესაა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ განვითარების პიკისთვის ამ ქვეყანას ჯერ არ მიუღწევია. ასეთად ჩინელები 2050 წელს თვლიან, მაგრამ ამ ეტაპზე მას არაფერი ემუქრება - შიდა ქაოსის სახით.

რაც არ უნდა სენსაციურად მოგვეჩვენოს თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ორი მიმართულება – სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზები, ჩინეთი ამ პროექტებს ძველ გამოცდილებას უსადაგებს – ანუ იმას, რაც მრავალი საუკუნის წინათ იყო.

2000 წლის წინათ შექმნილი „დიდი აბრეშუმის გზა“ იყო ყველაზე გრძელი კონტინენტშორისი სავაჭრო გზა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა რომის იმპერია, ბიზანტია, შორეული აღმოსავლეთი, ჩინეთი, ცენტრალური აზიის ქვეყნები. უდაბნოების, ტრამალების, მთების, ოაზისების გავლით ერთმანეთისკენ მიედინებოდა აბრეშუმი, ქაღალდი, იარაღი, ტყვია-წამალი, ენა, რელიგია (ბუდიზმი, ისლამი, ქრისტიანობა), სპარსელი, თურქი, იუდეველი, სხვა ერის წარმომადგენელი. ისინი სახლდებოდნენ ჩინურ ქალაქებში, ქმნიდნენ ოჯახებს. რამდენიმეჯერ ჩინეთმა სუვერენიტეტიც დაკარგა და მრავალი ათეული წლით „ბარბაროსთა“ უღლის ქვეშ მოექცა, მაგალითად, მონღოლთა, ჯურჯენთა, სხვათა.

აბრეშუმის საზღვაო გზაც 2000 წლის წინათ შეიქმნა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ჩინური პორტები სპარსულ, არაბულ, ევროპულ პორტებთან. აბრეშუმი, ჩაი, ფაიფური, ნეფრიტი, სხვა საქონელი გადაიზიდებოდა ამ გზით.

ჩინეთის თავმჯდომარის სი ძინპინის განცხადება, სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზების ასაღორძინებლად, თავისთავად იწვევს აშშ-ს ყურადღების დაძაბვას. არანაკლებად იძაბება რუსეთიც, ვინაიდან ერთიანი სავაჭრო სარტყელის შექმნა უპირისპირდება კრემლის ევრაზიული კავშირის შექმნის გეგმას.

ამერიკელთა მიერ შექმნილი პროექტი – ჩინეთის შეჩერების შესახებ, უდავოდ ვერ განხორციელდება, მას მეტოქეობას გაუწევს ჩინური პროექტი.

სუპერ სამეულს შორის ფარული თუ ღია დაპირისპირება არსებობს და მომავალშიც იარსებებს, რამეთუ ამ ქვეყნების ინტერესები, ისე, როგორც ნებისმიერის, საკუთარ ინტერესებზე გადის, საკუთარი ძლიერების შენარჩუნებას ესადაგება, თუმცა, ეს საკითხები დღევანდელი განხილვის საგანი არ არის. მას სხვა დროს შევეხებით.



**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კომუნისტური სისტემის წყალობით შექმნა ჩინეთმა ცენტრალიზებული, მძლავრი სახელმწიფო, რომელიც მედგარ კონკურნციას უწევს აშშ-ს და არა თუ უწევს, უახლოეს მომავალში უკან ჩამოიტოვებს კიდევაც. შეძლებდა ამას, დასავლური თვალსაზრისით, დემოკრატიული, ლიბერალური ჩინეთი?** ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის მომინდვია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# დაუჯერეთ ნაცბანდელებს და ქვეყანას „ააყვავებთ“!

## ხელფასებსა და ჯიპებს გადაყოლილი ჩინოვნიკები

**ნაცმოელმა ავსულებმა თავიანთი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში იმდენი უზნეობა და ავკაცობა, ჭუჭყი და ნაგავი დააგროვეს, რომ ახლა ყოველ ნაბიჯზე თავადვე ესვრებათ ფეხები. თავიც, რა თქმა უნდა, თუკი საერთოდ აბიათ მხრებზე, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხენ და „მეოცნებე“ ხელისუფლებას იმის იმედით, რომ კბილაშვილისეული უკბილო პროკურატურა მათ ბუზსაც ვერ აუფრენს, იქით ადანაშაულებენ. კი ბატონო, მიშა გიჟი და დამთხვეული პრეზიდენტი რომ იყო, დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, ამბობენ ისინი, ხალხი რომ დაგვემშა და ციხეები პოლიტპატიმრებით აგვევსო, ამასაც აღარ უარვყოფთ, მაგრამ „მეოცნებენი“ რომ ჩვენზე უარესნი, არაპროფესიონალები და უქნარები გამოდგნენ, ამასაც ვერსაით გავექცევითო. ჩვენ მტრის თვალის დასაბრმავებლად ვირტუალური ეკონომიკა მაინც გვქონდა, რომელიც პროცენტულად წლიდან წლამდე შეუფერხებლად იზრდებოდა, ამათ კი ესეც გაანადგურეს, ცოცხი რომ ცოცხია, რომელიც ყველგან, საპატიმროებშიც კი, დაუყვედრებლივ ეყარა, ამათ ხელში ეგეც საძებარი გაგვიხდაო(!).**

ამ მთავრობის კომპეტენტურობასა და სამართლიანობას რა ვუთხარი, თავი ნაცების სამასხარაოდ რომ გაიხადა, თორემ თავის დროზე ნაცხროვისთვის იმ დამსახურებისთვის საკადრისად რომ მიეზღო, რაც მათ ერის წინაშე ჩაიდინეს, ახლა ტბაზე მოცურავე გედებივით კი აღარ იყელყელავებდნენ, ჭიტლაყამოკრული ლეკვებივით იწკმუტუნებდნენ. მაგრამ რადგან ეს არ მოხდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხალხის არჩეული მთავრობა სააკაშვილის ნაყმევი წიკალურების, ჯაფარიძეების, რატიანების, კანდელაკების, ბარნოვების და სხვათა ჭკუის დასარიგებელი გახდა. ეს რა დაგვემართა, ვის ხელში ჩავცვივდითო, წუხან ისინი, ამ მთავრობას არც ნამუსი გააჩნია, არც პასუხისმგებლობა და არც პროფესიონალიზმი, თორემ ჩვენ მაინც მოგვისმენდა და ისწავლიდა, ქვეყანას როგორ უნდა მართავდესო.

**ასეა, ნაცბანდელების აზრით, კოალიციური მთავრობა უუნარო და უქნარა გამოდგა, სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვისა არაფერი გაეგება, ოპოზიციასაც (საკუთარ თავს გულისხმობენ) არაფერს უჯერებს და ქვეყანა იღუპება!**

იმის დასტურად, თუ ქვეყანა რატომ იღუპება, ნაცბანდელებს არც თუ ხელწამოსაკრავი ფაქტები უჭირავთ. მათი უმთავრესი კოზირი ის გახლავთ, რომ მთავრობის უთაურობის გამო, გასული წელი სახელმწიფო ბიუჯეტმა 600 მილიონი ლარის გარღვევით დაამთავრა. ახლა კი იგივე მთავრობა, გაზრდილი სოციალური და მთელი რიგი სხვა ვალდებულებები რომ შეასრულოს, იძულებულია მილიარდიანი ვალი წამოიკიდოს. უკვე იანვარიშვე ქვეყნის შიდა ვალი 125 მილიონი ლარით გაიზრდება. 2013 წლის ბიუჯეტის კანონით, საშინაო ვალი სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით 600 მილიონით იზრდება, აქედან 400 მილიონი ლარი მოხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებას, მათ შორის სახელმწიფო ვალის დაფარვას, რომლის მოცულობაც წლეულს რეკორდულია.

**აი, ხომ ხედავთ, ნიშნის მოგებით გაჰყვირიან ნაცები, ჩვენ წელებზე ფეხს ვიდგამდით, ყოველწლიურად ვზრდიდით საბიუჯეტო შემოსავლებს და, შესაბამისად, ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ამათ კი ბიუჯეტიც ჩააგდეს და სახელმწიფოს იმხელა ვალები წამოჰკიდეს, მისი გასტუმრება არა თუ ჩვენ, მომავალ თაობებსაც გაუჭირდებათო.**

რა ხდება სინამდვილეში, მართლა იღუპება ქვეყანა თუ ნაცები ხალხის უკმაყოფილების ასაგორებლად ხატავენ სურათს ასეთ მუქ ფერებში? თუ იმათ დავუჯერებთ, ვისაც ამ საქმეში ჭკუა მოეკითხება (ლაპარაკია ეკონომიკის ექსპერტებზე), სახელმწიფოს შიდა ვალის აღებისკენ ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებს. დასამალი არ არის, რომ რეალობა ამ მხრივ არასახარბიელოა, სახელმწიფოს კი მთელი რიგი ვალდებულებები აქვს დასაფინანსებელი, რომლის ერთ-ერთი წყარო შიდა ვალია. აქედან გამომდინარე, მთავრობის მიერ გადასადგმელი ეს ნაბიჯი, ბუნებრივია, სტიმულს მისცემს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ექსპერტ **ალექსანდრე თვალჭრელიძის** აზრით, ის ვინც აცხადებს, რომ საშინაო ვალის აღება ქვეყნისთვის დამღუპველია, ეკონომიკის არაფერი გაეგება. მისი მტკიცებით, საშინაო ვალი აუცილებელია, ვინაიდან აუცილებელია კომპანიებს ჰქონდეთ ფულის არსებობის მყარი გარანტიები. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ვალდებულებები ამის საუკეთესო საშუალებაა. ახალ ხელისუფლებასთან დავას, აჯობებს ნაცებმა იმაზე გასცენ პასუხი, მსხვილ გადამხდელებს ბიუჯეტში გადასახადი ავანსად მილიარდნახევარი რომ წაგლიჯეს, რაში დახარჯეს, ან რაში დაიხარჯა ის თანხა, რომელიც წელს ქვეყანას საგარეო ვალის გადახდის სახით უწევს?

**ნაცბანდელებს ამ კითხვაზე პასუხი არა აქვთ და არც რჩევა მოქმედი ხელისუფლებისადმი, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ბიუჯეტის გარღვევა გადაეფარა? თვითონ, მაგალითად, ასეთ შემხვევაში, მიადგებოდნენ მსხვილ ბიზნესმენებს და ბანკირებს მუქარით: ან ამ თანხას დღესვე დაფარავთ, ან ციხეში გამოგამწყვდევთო(!). ახალმა მთავრობამ ეს არ გააკეთა და ბიზნესმენთა დაყაჩაღებას ისევ ვალების აღება ამჯობინა.**

ასე რომ, წინა მთავრობამ ახალს დაუტოვა არც თუ მცირე ზომის ხვრელები, საიდანაც შეუძლია გამოძვრეს, მაგრამ ამ ძრომიალში თავადაც რომ გვარიანად შეცდომებს უშვებს? მართალია, გასულ წელს რთველი წარმატებით ჩატარდა, სოფლის მეურნეობაში გაიცა დაბალპროცენტიანი სესხები, განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამა, რომელმაც სულზე მოუსწრო ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ, რაც შეეხება ბიუჯეტს, ძალიან მძიმე დანაკლისია, რომ ვერ შესრულდა მისი საშემოსავლო ნაწილი. ძნელია დავეთანხმოთ იმ ექსპერტებს, რომლებიც ამბობენ, რომ 600 მილიონის დანაკლისი ბიუჯეტისთვის არაფერია. **ტყუილად ვინუგეშებთ თავს, ბატონებო. ის, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში თვეობით ირღვეოდა რიტმულობა, ანუ შემოსავლები შემოდიოდა არაპროპორციულად, რამაც გამოიწვია ამხელა გარღვევა, ახლა თავის მართლება იმით, რომ 2013 წლის ბიუჯეტი ნაჩქარევად და არასწორად იყო დაგეგმილი, არაფრისმომტანია.** ასევე, იმის მომიზეზება, რომ დღგ-ები არასწორად იყო გადახდილი, ახლა ვითარებას არ ცვლის. ეს ყველაფერი მთავრობას ადრევე უნდა ეთქვა და ხალხი ტყუილებით არ ეკვება, რომ საგანგაშო არაფერია, პრობლემები ბიუჯეტის შესრულებას არ ექნება და ეკონომიკას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ის არ გვეყოფა, წინა ხელისფულება მთელი 9 წლის მანძილზე ტყუილებითა და ცრუ დაპირებებით რომ გვკვებავდა, რომ ახლებსაც საკუთარი ღირსება იმავე მეთოდით არ წარმოეჩინათ? აბა, თუ ყველაფერი კარგად იყო და არაფერი გვემუქრებოდა, რატომ მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ? ეს ეხება არა მარტო გარღვეულ ბიუჯეტს, არამედ ბოლო პერიოდში ქრონიკულად დევალვირებულ ეროვნულ ვალუტასაც, რომლის გაუფასურების შეჩერებას ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარამარა გვპირდებიან, მაგრამ ქართულ ბაზარზე გაპაპჯორებულ ხვლიკისფერ ვალუტას ვერაფერს აკლებენ. თუ ეკონომიკის ექსპერტ **სოლომონ პავლიაშვილს** დავუჯერებთ, **„აქ ისეთი სიტუაციაა, მარტო ეროვნული ბანკის იმედად ვერ ვიქნებით. ამას პირველ კვარტალში თუ არ დაემატა შემოსული ინვესტიციები, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია ლარის კურსის გამყარების, ეროვნულ ბანკს ძალიან გაუჭირდება ლარის დაცემა შეანელოს“.**

ქვეყნის პირველი ფინანსისტი **ნოდარ ხადური** კი გვანუგეშებს, ლარის რყევებისა არ შეგეშინდეთ, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ქვეყნის ეკონომიკას ვერაფერს დააკლებსო, **მაგრამ ბაზარში ფასები ყოველდღიურად რომ ძვირდება, კვების პროდუქტებზე ფასები რომ ორმაგდება, ამაზე მთავრობა რა პასუხს იძლევა? პასუხი არა აქვთ, ლარის კურსის ვარდნა კი ინფლაციის წყაროა, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ შემთხვევაში ინფლაციის გაჩერებაა საჭირო (გამჩერებელი კი არ ჩანს), თუ ეს არ მოხდა, იმ მძიმე შედეგს მივიღებთ, რაც წინა საუკუნის 90-იან წლებში უკვე გამოვცადეთ.**

რა დასამალია, მოსახლეობის მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა და ნაცების დასამარებული ეკონომიკა ამოიწევდა, არ გამართლდა. უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, პროდუქტებზე ფასების ზრდა – ეს ის კომპონენტებია, რაც საზოგადოებას განსაკუთრებით აწუხებს:

**გურამ ხომასურიძე** – 45 წლის, უმუშევარი: „ოცნება“ ბევრს გვპირდებოდა, მაგრამ იმედები დაგვიმსხვრია. გასულმა წელმა ჩემს ოჯახს, მაგალითად, კარგი არაფერი მოუტანა. თავი ვერ დავაღწიეთ ვერც უმუშევრობას და ვერც სიღარიბეს. იმის მაგივრად, რომ სამუშაო ადგილები გაზრდილიყო, პირიქით, შემცირდა, უამრავი ადამიანი დაითხოვეს სამსახურიდან. სამუშაოს დასაწყებად სადაც კი მივაკითხე, ყველგან უარით გამომისტუმრეს. თუ ნაცნობი „მეოცნებე“ ან „ნაციონალი“ არ გყავს, დასაქმებაზე ფიქრი ფუჭია. ამის მიუხედავად, 2014 წელს უკეთესის მოლოდინით ვხვდებით. იმედის მეტი სხვა არაფერი დაგვრჩენია“.

**თამილა ბოჭორიშვილი** – 42 წლის: „იმედი მქონდა, რომ საქართველოში ცხოვრება უკეთესი გახდებოდა, მაგრამ არ გამართლდა. ხალხი ისევ მშიერი და გაჭირვებულია. მე და ჩემი მეუღლე ორივე უმუშევარი დავრჩით. თავი რომ გვერჩინა, გადავწყვიტე, ხილბოსტნით ვაჭრობა დამეწყო, რითაც დღეს უამრავი ადამიანი ირჩენს თავს. როგორც ისინი, მეც ყოველ დილით სისხამზე, აგრარულ ბაზართან ატუზული პროდუქტს ვყიდულობ და მერე ჩემთან ახლოს მაღაზიის წინ ვყიდი. ამით გაგვაქვს თავი, თორემ მშივრები დავიხოცებოდით“.

**ჯემალ ცუცქირიძე** – 75 წლის: „ხალხს, რომელმაც ეს ხელისუფლება მოვიყვანეთ, გული გვტკივა იმის გამო, რომ ბევრს გვპირდებოდნენ და ცოტასაც აღარ გვისრულებენ. პენსიონერებს, რომლებსაც 240-ლარიან პენსიას გვპირდებოდნენ, 150-ლარიანი გვაკმარეს, თავად მთავრობის წევრებს კი 3500-ლარიანი ხელფასები ეცოტავათ და 7 000-იანები ჩამოირიგეს. განცვიფრდები, რანაირად შეიძლება იმ ქვეყანაში სოციალურ სამართლიანობაზე საუბარი, სადაც რომელიღაც მარეგულირებელი კომისიის რიგით წევრს 13 ათასი ლარი ხელფასი აქვს, მინისტრს – 60-ჯერ მეტი შემოსავალი, ვიდრე პენსიონერს, 100 ათასად ღირებული ჯიპებით დაგრიალობენ და 60-ათასიან პრემიებს იწერენ. ვფიქრობ, ამ ყველაფრის ინიციატორი და ავტორი ქვეყნის პირველი ფინანსისტი, ბურთივით მრგვალი და ფუმფულალოყებიანი ნოდარ ხადური გახლავთ, რომელიც ფულთან ერთად ტუალეტის სურნელოვან ქაღალდზეა შეყვარებული და მის შესაძენად ბიუჯეტის თანხების ჰაიჰარად ხარჯავს. მე, როგორც ამომრჩეველს, მრცხვენია, რომ ასეთი მსუნაგი და საკუთარ კეთილდღეობაზე დახარბებული ჩინოვნიკები გვყავს. საოცარია, რით ველარ გაძლა ამათი მუცელი!“

„მეოცნებე“ ჩინოვნიკთა ასეთი გაუმაძღრობის გამო, თვით ნაცბანდელებიც კი, რომლებიც ფულის კეთების დიდოსტატები იყვნენ, განცვიფრებას ვერ მალავენ: ერთი შეხედეთ ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც როგორ ჰყვარებიათო. იმის მაგივრად, რომ ჩავარდნილ ეკონომიკას მიხედონ და ხალხი გაჭირვებიდან ამოიყვანონ, მილიარდიანი ვალების აღებასა და საკუთარ ხელფასებს გადაყვნენო.

**იტყვიან, აბა რა იქნება, როცა ქვეყნის შვილები ჯერ კიდევ ნაგავში იქექებიან, რაც არ უნდა აგვიხსნას ხადურმა, მილიარდიანი გარღვევა ბიუჯეტში იმიტომ მოხდა, რომ ნაცებმა ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვესო, ამ ზღაპარს მისი სტუდენტების გარდა, არავინ დაიჯერებს. დღევანდელ ხელისულებას სხვა გამოსავალი არა აქვს, ან უნდა დაუჯეროს ნაცების რჩევებს და მათი გამოცდილების გამოყენებით „ააყვავოს“ ქვეყანა (ამას ნაწილობრივ აკეთებს კიდეც) ან გადაერთოს ეკონომიკის რეალურ ზრდაზე, სამუშაო ადგილებისა და წარმოების განვითარებაზე. არ იქნება ეს, არ იქნება არაფერი პერსპექტივა იმისა, რომ ხელისუფლებას ხალხი მეორედაც აირჩევს.**

ოთარ ხუციშვილი



ალიან-ჩალიანი

## მსოფლიო ბანკის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2014 წელს 6,3% იქნება

**საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა საქართველოს ჯერ კიდევ შარშან, ივნისში გამოცხადებული პროგნოზი შეუნარჩუნა, სამაგიეროდ, 6%-დან 6,3%-მდე გაუზარდა 2015 წლის მშპ-ს მაჩვენებელი.**

**როგორც ბანკი თავის კვლევაში („გლობალურ-ეკონომიკური პერსპექტივები 2014“) იუწყება, სავაჭრო ბალანსი მშპ-თან მიმართებაში 0.7%-ით გაუმჯობესდება და ნავარაუდევი - 7,8%-ის ნაცვლად - 7.1%- იქნება.**

**აღსანიშნავია, რომ რეგიონში არსებულ 21 ქვეყანას შორის, საქართველო ეკონომიკური ზრდით ერთ-ერთ ლიდერ პოზიციაზე იმყოფება. ის მხოლოდ თურქმენეთს (10.1%), უზბეკეთს (7%) და ყირგიზეთს (6,5%) ჩამორჩება. რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, აზერბაიჯანის მშპ წელს 5,3%-ით, სომხეთის -5%-ით, ხოლო უკრაინის - 2%-ით გაიზრდება. შესამჩნევად დაბალი მაჩვენებლები აქვთ თურქეთს (3,5%) და ისეთ ევროპულ ქვეყნებს, როგორიცაა, ბულგარეთი (1,7%), უნგრეთი (1,7%) და რუმინეთი (2,5%).**

**საერთო ჯამში, მსოფლიო ბანკის ექსპერტების აზრით, მსოფლიო ეკონომიკა წელს გაძლიერდება, ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ტემპი აჩქარდება, ხოლო ის ქვეყნები, რომელთაც მაღალი შემოსავლები აქვთ, ხუთწლიანი მსოფლიო კრიზისიდან გამოვლენ. რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მშპ-ს ზრდა კი 2,8%-ის მიაღწევს, თუმცა, არსებობს მთელი რიგი რისკები, რომელთა გამოც, შესაძლებელია, პროგნოზები გადაიხედოს.**

ინტერპრესი




# „რუსებს პირში თითს თუ ჩაუდებთ, მკლავს მხრამდე მოგაჭამენ“

## - რას ფიქრობენ აფხაზეთში რუსეთზე

**„ნიუსვიკი“ აქვეყნებს აფხაზეთის თემაზე ანა ნემცოვას სტატიას „კონკია სახელმწიფო“. გთავაზობთ ამ სტატიას.**

**„აფხაზეთის რესპუბლიკაში (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც აფსნი, ანუ სულის ქვეყანა) ბევრი გაწბილებულია. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს ომმა აფხაზებს დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ მხოლოდ რუსეთმა, ვენესუელამ და კიდევ რამდენიმე მცირე ქვეყანამ თუ ცნო ეს ომებით დატანჯული პატარა რესპუბლიკა შავი ზღვის სანაპიროზე.**

**უარესიც, თავად მთავარმა ქომაგმა, რუსეთმა დაუკეტა აფხაზებს მათ გვერდით ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიების — ზამთრის ოლიმპიადის კარი. შედეგად, აფხაზეთი იქცა კონკია ქვეყნად. მაშინ, როცა მთელი დანარჩენი მსოფლიო ზეიმობს და აღნიშნავს მშვიდობასა და ურთიერთგაგებას სპორტის მეშვეობით, აფხაზები კარს მიღმა დარჩნენ დაუპატიჟებლები. ისინი არ მონაწილეობენ ამ ღონისძიებაში, მათი იქ ყოფნა სასურველი არ არის.**

უფრო მეტიც, რუსეთმა აფხაზებს საშუალება არ მისცა, მონაწილეობა მიეღოთ მომგებიან სამშენებლო პროექტებში, რომელთა ფარგლებშიც ოლიმპიადის წინ აშენდა სტადიონები, გასართობი ცენტრები და ოლიმპიური სოფელი. ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა აფხაზ სპორტსმენებს აუკრძალეს შეჯიბრში საკუთარი დროშით მონაწილეობა, ხოლო რუსეთმა საზღვრები გადაკეტა. ასე რომ, აფხაზები ვერც თავად თამაშებს დაესწრებიან.

ახლახან აფხაზ ოფიციალურ პირთა და მწვრთნელების ჯგუფმა განიხილა საკითხი, მოესწრებიან თუ არა ისინი იმ დროს, როცა აფხაზეთის დროშა აფრიალდება ოლიმპიური თამაშების ფარგლებში. **„რასაკვირველია, არა, — განაცხადა რესპუბლიკის ძიუდოს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი პოლოსოვმა, ხელი გაიშვირა ტატამზე მოასპარეზე ახალგაზრდისაკენ და დაამატა — როგორ ავუხსნა ამ ახალგაზრდას, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთი ქვეყნის დროშით გამოვიდნენ ასპარეზზე?!“**

მისი თქმით, მის ძიუდოს გუნდს „სამარცხვინო უარი“ ეთქვა აფხაზეთის წარმომადგენლობაზე რუსეთში, კრასნოდარის რეგიონში გამართული შეჯიბრების ფარგლებში. აფხაზ სპორტსმენებს ისღა დარჩენიათ, დაივიწყონ ეროვნული კუთვნილება და იასპარეზონ, როგორც როსტოვის (რუსეთი) რეგიონული გუნდის წევრებმა.

სპორტი არ არის ერთადერთი სფერო, რომლისგანაც აფხაზეთი გარიყულია, და არც რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელიც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. შაზინა ავიძბა (ქვეყნის ახალი მინისტრი სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში) იხსენებს არანაკლებ გამაღიზიანებელ შემთხვევებს. მაგალითად, ივნისში პოლონეთის საკონსულომ ბავშვთა ცეკვის ანსამბლს უარი უთხრა ვიზაზე.

სპორტსმენებსა და სპორტის სფეროს ოფიციალურ წარმომადგენლებსაც უარი ეთქვათ შენგენის ვიზებზე, რაც მათ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში თავისუფალი მოძრაობის საშუალებას მისცემდა. „ყველაზე მტკივნეული კი ის არის, რომ რუსეთის რეგიონები უარყოფენ ჩვენს დროშას“, — განაცხადა მინისტრმა.

**აფხაზეთს, როგორც წესი, კარგი ურთიერთობა ჰქონდა კრემლთან. 5000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი და ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ქვედანაყოფები იცავენ რესპუბლიკის საზღვრებს საქართველოსთან 2008 წლის ომის შემდეგ.**

რაც შეეხება ბოლო ხუთ წელიწადს, რუსეთმა გააძლიერა აფხაზეთის სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა, რისთვისაც შეწირულობის სახით გაიცა 100 მილიონ დოლარზე მეტი, რაც შეადგენს დაახლოებით 50%-ს იმ თანხისა, რომლის გამოყოფაც თავად რესპუბლიკას შეეძლო.

რესპუბლიკის 240 000-იანი მოსახლეობის უმრავლესობამ შეიძინა რუსეთის პასპორტი და ათასობით აფხაზი რეგულარულად სტუმრობს თავის შეძლებულ მეზობელს, ხოლო დაახლოებით 30 000 აფხაზი კვლავაც სარგებლობს რუსული პენსიებით.

მიუხედავად ყველაფრისა, კარს მომდგარმა ოლიმპიურმა თამაშებმა სრულიად შეცვალა ურთიერთობა აფხაზეთსა და რუსეთს შორის. და ეს ეხება არა მხოლოდ სოხუმს, აფხაზეთის დედაქალაქს. საზღვრის მეორე მხარეს კრემლის გრანდიოზულმა პროექტმა სრულიად შეუცვალა სახე რუსეთის ქალაქ სოჭს.

ერთ დროს ელეგანტური და მშვიდობიანი შავიზღვისპირეთის რივიერა ისტორიას ჩაბარდა. ოლიმპიური პროექტების განხორციელებაზე კერძო და სახელმწიფო ინვესტორებმა დახარჯეს 50 მილიარდ დოლარზე მეტი, რის შედეგადაც ქალაქი სრულიად შეიცვალა. ერთ დროს გადამფრენ ფრინველთათვის განკუთვნილ ჭაობიან ადგილს დღეს ამშვენებენ რუსეთის დროშის წითელი, თეთრი და ცისფერი ფერებით განათებული შუშისა და ბეტონის ოლიმპიური ნაგებობები. ტურისტებს სთავაზობენ ქალაქის გარშემო განლაგებულ დათოვლილ მწვერვალებზე ასვლას საბაგიროთი. სწრაფმავალი მატარებელი კი აკავშირებს ოლიმპიურ სოფელსა და სოჭის ცენტრს. გარდა ამისა, ქალაქს აქვს თანამედროვე საერთაშორისო აეროპორტი და რკინიგზის სადგურები.

ქალაქი, რომელშიც 1960 წლებიდან მოყოლებული მილიონობით საერთაშორისო და საბჭოთა ტურისტია შეყვარებული მისი ბოტანიკური ბაღების, ორგანული რძის პროდუქტებისა და უმშვენიერესი მინერალური წყლის საკურორტო სასტუმროების გამო, ამჟამად მოფენილია დიდი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებით და გრანდიოზული სასტუმროებით, რაც მას შორიდან ამსგავსებს გიგანტურ ნემსებიან უზარმაზარ ზღარბს.

**„აქ არაფერია დატოვებული ძველი სოჭიდან. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი საყვარელი ისტორიული პატარა ქუჩები და შესახვევები და ჩავანაცვლეთ ისინი უზარმაზარი სამშენებლო ზონებით, ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ მონუმენტებთან და საკურორტო სასტუმროებთან ერთად,“** — თქვა ირინა ნიკოლაევნამ, სოჭის არქივის მენეჯერმა.

რამდენიმე ათეული ისტორიკოსი, არქიტექტორი, და მუზეუმის ექსპერტი იბრძვის იმის შესანარჩუნებლად, რაც დარჩა რევოლუციამდელი კერძო სახლებისა და ისტორიული მნიშვნელობის მქონე შემაშინებლად მკაცრი სტალინის დროინდელი ძეგლებიდან. მაგრამ წინაოლიმპიურმა სამეწარმეო და სამშენებლო ციებ-ცხელებამ სრულიად გადაფარა ყველაფერი.

მოსკოვური პრესა მსჯელობს რამდენად ღრმა უნდა ყოფილიყო 30-მეტრიანი ოლიმპიური მაგისტრალი, თუკი მას მოკირწყლავდნენ ხიზილალით, ბეწვის ქურქებით ან ლუი ვიუიტონის მოდელებით, რომ გაეთვალისწინებინათ ის გამაოგნებელი 7.2 მლრდ დოლარი, რომელიც მის მშენებლობაზე დაიხარჯა. ცოტა გასაკვირია, რომ ზოგიერთი ძველი მობინადრე სოჭს „სიძუნწის სამეფოს“ ეძახის.

აფხაზები რუსების ერთადერთი საზრუნავი არ არიან. ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ხელისუფლების წარმომადგენლები მრავალ შიდა პრობლემასაც აწყდებიან: ჩრდილო კავკასიიდან ისლამისტი ტერორისტების თავდასხმის საფრთხე, ფართოდ გავრცელებული უკანონობა, გაბატონებული კორუფცია.

**მაგრამ აფხაზეთი სრულიად გარიყეს. აფხაზებს საშუალო ხელფასით (დაახლოებით 80 დოლარი თვეში), ოლიმპიური ობიექტების მშენებლობიდან ფულის გაკეთების მთელი იმედები გაუცრუვდათ. 2010 წელს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მომითხრო ოლიმპიური ობიექტებიდან სულ რაღაც 100 მილის დაშორებით მდებარე ქვიშისა და ხრეშის კარიერების შესახებ, რაც ათასობით აფხაზს უზრუნველყოფდა დასაქმების შესაძლებლობით.**

მაგრამ ბაღაფშის ოცნებები არ ახდა. **„ბიზნესის დღესასწაულმა ჩვენ გვერდი აგვიარა,“** — თქვა მან. **„ჩვენ ვერაფერი ვიხეირეთ ოლიმპიური პროექტებიდან,“** განაცხადა პრეზიდენტის წარმომადგენელმა კრისტიან ბჟანიამ, რითაც ნათლად გამოხატა აფხაზების განაწყენება რუსებზე ზედმეტად მკაცრი და უხეში მოპყრობის გამო.

ისინი იბრძვიან, რომ გაიგონ, რატომ არ დაპატიჟა რუსეთმა ოლიმპიურ ნამცხვარზე. ხომ არ გამოიწვია რუსეთის საელჩოს პირველი მდივნის დმიტრი ვიშერნევისა და მისი მეუღლის მკვლელობამ მათი ურთიერთობის გაციება?

**„არა, დიპლომატების მკვლელობები აქ არაფერ შუაშია,“** — განაცხადა საზოგადოებრივი პალატის წევრმა სერგეი მარკოვმა. **„ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა გვთხოვეს, გავჩუმდეთ აფხაზეთის მძიმე მდგომარეობის შესახებ და არ გავაპროტესტოთ ჩვენს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება, რამდენადაც სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი ( ჰომოსექსუალების მიმართ რუსეთის დამოკიდებულების საფუძველზე) ჯერ კიდევ ზოგიერთი ქვეყნისათვის დღის წესრიგში დგას.“**

მარკოვი ფიქრობს, რომ თამაშების დასრულების შემდეგ, ყველაფერი შეიცვლება აფხაზეთისთვის. **„რუსეთი მოხსნის აფხაზეთის საზღვრების კონტროლს — რასაკვირველია, თუკი დანარჩენ კავკასიაში უბედურება არ მოხდება.“**

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის უამრავი შენობა უკვე 20 წელზე მეტია დანგრეულია, ბევრი აფხაზი მოუთმენლად აღარ ელის მდიდარი, სავსე საფულიანი რუსი ინვესტორების მოზღვავებას და მის საზღვრებიდან შემოდინებას საკუთარი განვითარება-გაფართოების შესაძლებლობების ძიებაში. მკაცრი ადგილობრივი კანონები იცავენ ისტორიულ ძეგლებსა და უძრავ ქონებას უცხოელი მყიდველების მიერ მისი დატაცებისაგან.

**„რუსებთან სიფრთხილე გმართებთ,“** — აგვიხსნა ერთ-ერთმა აფხაზმა. **„პირში თითს თუ ჩაუდებთ, მკლავს მხრამდე მოგაჭამენ.“ ეს საერთო რეფრენია.**

**იგემა რა რუსეთის მხრიდან დათვური ჩახუტება, ძველი ბერძნების, რომაელების, ოსმალეთის, საბჭოთა რუსებისა და ქართველების საყვარელი აფხაზეთი, ამჯობინებდა როგორც საკუთარი დამოუკიდებლობის, ისე მისი სულის შენარჩუნებას“,** — წერს ანა ნემცოვა სტატიაში.

### ალიან-ჩალიანი

## იქნებ ნანუაშვილმა აგვიხსნას, რა საკუთარ უფლებებს ითხოვენ მაჰმადიანი მესხები და მერე ვიმსჯელოთ

**სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტიები, რათა მაჰმადიან მესხებს, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეთ, — ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა. მისივე ინფორმაციით, მაჰმადიან მესხებთან დაკავშირებით საქართველოს აქვს ვალდებულება და ეს პროცესი ქვეყანაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს.**

**— სასურველია, სახელმწიფომ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯები გადადგას, რათა ამ ადამიანების უფლებები გაცილებით უფრო აქტიურად იყოს დაცული და რეაგირება ჰქონდეს მათ განცხადებებს. პრობლემები ნამდვილად არსებობს. ძალიან ბევრ ადამიანს სურს დაბრუნება, მაგრამ რეალურად ისინი გარკვეული პროცედურების გართულების გამო, ვერ ახერხებენ საქართველოში დაბრუნებას, — აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.**

**სახალხო დამცველის თქმით, საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე. ომბუდსმენი გამორიცხავს, რომ საქართველოში დაბრუნების სურვილი 200-300 ათასმა ადამიანმა გამოთქვას. მისივე თქმით, საჭიროა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის გააქტიურება, რათა ქვეყანაში ერთგვარი სტრატეგია არსებობდეს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, 1999 წელს საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო ვალდებულება, მიეღო სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებდა საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციასა და ინტეგრაციას, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის უფლების ჩათვლით.**

**— საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს მიიღო კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, ხოლო 2010 წლის 30 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“.**

**კანონის შესაბამისად საქართველოს ხელისუფლებას რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად თხოვნით მიმართა 5841 პირმა, აქედან 1174 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი, ხოლო შვიდმა პირმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. პროცესი დღესაც გრძელდება.**

**ინტერპრესი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სოჭში თამაშებზე საქართველოს მედროშე ფიგურისტი გედევანიშვილი იქნება

**საქართველო ოლიმპიადაზე არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ გაუშვებს რუსეთში, რომელთანაც გაწყვიტა ურთიერთობა 2008 წელს. თუმცა სპორტსმენებს გზას ულოცავს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც დაპირდა მათ შეხვედრას იანვრის ბოლოს.** დელეგაციას, რომელშიც საორიენტაციოდ 20 ოლიმპიელი, მწვრთნელი და ჟურნალისტი იქნება, სათავეში ჩაუდგება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.

**— ზამთრის თამაშებზე დელეგაციის მედროშე იქნება 24 წლის ფიგურისტი ელენე გედევანიშვილი, რომელიც 2010 და 2012 წლების ევროპის ჩემპიონატის ორ ბრინჯაოს მედალს ფლობს,** — განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა.

გედევანიშვილის გარდა ოლიმპიური ლიცენზიები უკვე სამმა სამთო მოთხილამურემ მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ ცნობილი გახდება, შეძლებს თუ არა საქართველო, მიიღოს კიდევ ერთი ლიცენზია სპორტის ამ სახეობაში. ოლიმპიადის ყველა მონაწილე სპორტსმენი ვარჯიშობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საქართველოს დელეგაციამ უსაფრთხოების არანაირი განსაკუთრებული ზომები არ მოითხოვა.

თამაშებთან დაკავშირებით საქართველოს ავიაკომპანია „აირზენამ“ რუსეთის მხრიდან მიიღო ნებართვა სოჭში ჩარტერულ რეისებზე. ნებართვა იმოქმედებს 4 თებერვლიდან 31 მაისის ჩათვლით. ბილეთის ფასი ორივე მიმართულებით 290 ევროა. შეიძლება იქ ჩააღწიო სხვა მხრივაც — საზღვაო „კომეტით“ ბათუმიდან, რომელიც სოჭში წავა ზამთარში კვირაში ერთხელ. ბილეთის ფასი ორივე მიმართულებით 220 ევროა.

ოფიციალური დელეგაცია თამაშებზე

**სპეციალურად ოლიმპიადისთვის საქართველოს ავიაკომპანიამ ჩარტერული ფრენის ნებართვა მიიღო**



თვითმფრინავით 4 ან 5 თებერვალს გაემგზავრება.

რაც შეეხება გულშემატკივრებს, საერთოდ უცნობია, თუ როგორ აეწყობა სიტუაცია მათთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის ვიზები ეძლევათ შეზღუდულად.

**— ადგილობრივ გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის ვიზის მიღების საკითხთან დაკავშირებით კომიტეტისთვის არ მიუმართავთ,** — უთხრა ჩვენს გაზეთს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. — **შეიძლება იმიტომაც, რომ საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობები დიდი პოპულარობით არ სარგებლობს.**

იგი არ გამორიცხავს, რომ საქართველოს დელეგაციას მხარს დაუჭერენ სოჭში მცხოვრები ქართველები.

**სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხს უკვე თამაშების შემდეგ განიხილავენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს პრაღაში. შეხვედრა გაიმართება თებერვლის ბოლოს — მარტის დასაწყისში.**

ქართული ოპოზიცია კვლავ ითხოვს, რომ სპორტსმენებმა მთლიანადაც უნდა თქვან უარი თამაშებზე, ანდა გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშის ქვეშ. მაგრამ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს დროშას გამოიტანს ელენე გედევანიშვილი.

პარტია „ევროპული დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ განაცხადა, რომ სოჭში საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგ თითქოსდა მზადდება პროვოკაცია, რომელიც ეხება აფხაზეთის პროპაგანდას და მის სიმბოლიკას თამაშებზე. თუმცა, ზურაბ აბაშიძემ გამოთქვა იმედი, რომ ოლიმპიადა გაიმართება ექსცესების გარეშე ქართველ დელეგატებთან დაკავშირებით.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

SIC!

# სინთეზური მარიხუანას შესწავლა ქართველებმაც დაიწყეს

**ბუნებრივს** დაემატა ქარხნული წესით დამზადებული, შემდეგ კი სააფთიაქო ნარკომანიამ ჩვენს ქვეყანას უდიდესი ზიანი მიაყენა. როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. ყველაფერს კი ახლახან ევრობაზარზე გამოჩენილი სინთეზური ნარკომანიაც დაემატა. მის გავრცელებას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ სახის ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა ხელმისაწვდომია, მათი გამოწერა ინტერნეტითაც შეიძლება. მის უარყოფით თვისებებზე საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ, სამართალდამცავებიც საქმის კურსში არიან, მაგრამ მომხმარებლის გამოვლენა უჭირთ, რადგანაც ის ლაბორატორიულ ანალიზებში არ ჩანს.

ახალი ნარკოტიკის — სინთეზური მარიხუანის შემადგენლობაზე ევროპულ სპეციალისტებსაც კი უჭირთ დაზუსტებით რაიმე მტკიცებულებების გამოტანა. მაგრამ მათ მრავალთვიანი კვლევების შედეგად დაადგინეს ის უარყოფითი შედეგები, რომელიც მოაქვს ახალი ნარკოტიკის ერთჯერად თუ სისტემატურ მოხმარებას ადამიანის ორგანიზმზე, მის ფსიქიკაზე.

საქართველოში ადიოქტოლოგთა ასოციაციის (სხვადასხვა მიმართულებით (მავნე) დამოკიდებულების დარგში მომუშავე სპეციალისტების გაერთიანება) მიზანია ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ. ამ მიმართულებით ასოციაციამ ჩაატარა 2-თვიანი ძირეული სამუშაოები და მოამზადა შესაბამისი მიმოხილვა. აცხადებს ადიოქტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი დავით ოთიაშვილი. იგი ამბობს, რომ ასოციაციის მიზანია, საკუთარ კვლევებთან ერთად დაეყრდნოს უცხოელი სპეციალისტების შრომებსაც და მიეწოდოს ამ დარგის ექიმებს მარიხუანას მცენარეული ალტერნატივებისა და სინთეზური ნივთიერებების ფარმაკოლოგიური და კლინიკური ეფექტების აღწერა. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ აღნიშნული ნივთიერებების მოხმარება შედარებით ახალი ფენომენია და მათზე ინფორმაცია, სათანადო მონაცემები შედარებით მწირია. ექიმები კი ნაკლებად არიან გათვითცნობიერებულები ახალი ფსიქოლაქტიური ნივთიერებების შესაძლებლობებში. ეს მათ ხელს შეუწყობს, ამოიცნონ და მართონ სიახლით გამოწვეული ინტოქსიკაციის მომენტები, და მასთან დაკავშირებული ესა თუ ის სინდრომი. აგრეთვე, რათა მედიცინის მუშაკებმა პაციენტს გაუზიარონ ცოდნა პოტენციურ საფრთხეების შესახებ და ამგვარი მეთოდებით მოახდინონ პრევენციული ზემოქმედება, აკონკრეტებს ასოციაციის პრეზიდენტი.

ასოციაციის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უმრავლესობა (განსაკუთრებით საქართველოში გავრცელებული „ბიო“, აგრეთვე „სპაისები“, „აბაზანის მარილები“ და სხვა) შეიძლება დახასიათდეს, როგორც სინთეზური კანაბიონიდები, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები ოპიოიდის მსგავსი ნივთიერებები ან ჰალუცინოგენები.

ადიოქტოლოგთა ანგარიშში მითითებულია, რომ მათი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, მოქმედების ეფექტი უკანონო ნარკოტიკებისას ემსგავსება, რითაც გამოწვეულია სინთეზურ ნარკოტიკებზე გაზრდილი მოთხოვნილებაც. ასოციაცია განსაკუთრებით აღნიშნავს ამ სახის ნივთიერებების სერიოზულ გვერდით მოვლენებს. მომხმარებლები სხვადასხვა შეგრძნებებს განიცდიან. განსაკუთრებით ეიფორიის, გაცხოველებულ ყურადღებას, ბევრი ლაპარაკის მოთხოვნილებას, ენერგიისა და ლიბიდოს მომატებას.

კვლევის შედეგებში ლაპარაკია იმაზეც, რომ ნარკოტიკული ეფექტის გაძლიერების ან გახანგრძლივების მიზნით მომხმარებლები ხშირად მიმართავენ დამატებით დოზის არაერთხელ მიღებას, რომლის დროსაც გადაბმული მიღების პერიოდები გრძელდება რამდენიმე საათის, არც თუ იშვიათად რამდენიმე დღის განმავლობაში. ნაშრომის ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ საქართველოში გამოჩნდნენ აბაზანის მარილის მომხმარებლებიც. ხდება ნივთიერების შესუნთქვა, რომლის შედეგადაც მომხმარებელს აღენიშნება ფსიქოზური და აგრესიული ქცევები.

სინთეზური კათინონის ინტოქსიკაციის ფიზიკური ნიშნები მსგავსია სიმპტომატური ეფექტისა და მოიცავს ჰიპერტენზიას, ტაქიკარდიას, ჰიპერთერმიას, დეჰიტრაციას და ფსიქომოტორულ აგზნებას. ადიოქტოლოგები ყველაზე გავრცელებულ გვერდით მოვლენებად თვლიან პალპიტაციას, ტკივილებს თავისა და გულ-მკერდის არეში, ტრიზმას, ბრუქსიზმს, ტრემორს, უძილობასა და პარანოიას.

გადაუდებელი სამსახურის მიერ ყველაზე გავრცელებულ გამოვლინებად მიჩნეულია ტაქიკარდია, ოფლდენა და ჰიპერტენზია. ნეიროფსიქიკური გამოვლინებეიდან კი — ჰალუცინაციები, აჟიტაცია, პარანოია.

დღეს სინთეზური ნარკოტიკების გარშემო ექიმ-ნარკოლოგთა შორის გაცხოველებული კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, გაუთანაბრდეს თუ არა დასჯადობით სინთეზური ბუნებრივ, კანონით აკრძალულ ნარკოლოგიურ საშუალებებს. ნარკოლოგიური ცენტრის უფროსი გელა ლეჟავა ამის მომხრეა, ექიმი-ნარკოლოგი, საქართველოს ადიოაქტიოლგთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ოთიაშვილი კი მკაცრი წესების გატარებას პროფილაქტიკურ, პრევენციულ ახსნა-განმარტებითი ღონისძიებების გატარებას ამჯობინებს. თუმცა, საქართველოს მოსახლეობა ორივე ზომის ერთობლიობადი გატარების მომრეა.

**ზაზა ბილიხოძე**

## დედამიწის ზურგზე



**სნოუდენი ამერიკული „თავისუფალი პრესის ფონდის“ დირექტორთა საბჭოში შევა**

**„თავისუფალი პრესის ფონდი“ ჩამოყალიბდა ჟურნალისტების მხარდაჭერისა და დაცვის მიზნით, რომლებიც ისწრაფვიან იმ ინფორმაციის ღიაობისკენ, რომელსაც საზოგადოებრივი ინტერესი აქვს. ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოში, კერძოდ, შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწის ექსმოადგილე დანიელ ელსბერგი, რომელმაც მოაწყო პენტაგონის დოკუმენტების გადინება ვიეტნამის ომთან დაკავშირებით.**

* * *

**ბირთვული იარაღის სპეციალისტმა მეცნიერებმა „განკითხვის დღის საათის“ ისრები არ გადაიტანეს**

**გასული წლის განმავლობაში მსოფლიო უფრო უსაფრთხო არ გამხდარა. ბირთვული აპოკალიფსისგან მას ძველებურად ჰყოფს სიმბოლური „ხუთი წუთი“. ასეთ მდგომარეობაში ისრები იმყოფება 2012 წლის იანვრიდან, როდესაც ისინი ერთი წუთით წინ გადასწიეს. საათი პირველად 1947 წელს გამოჩნდა და თავდაპირველად იგი 23:53 უჩვენებდა.**



* * *

**ამერიკის კიდევ ერთმა შტატმა მოახდინა ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზება**

**ოკლაჰომა ჰავაისა და ნიუ-მექსიკოს შემდეგ ამიერიდან აღიარებს კანონიერად ერთსქესიანი პარტნიორების ოფიციალურ კავშირს. დადგენილება გეი-ქორწინების რეგისტრაციის აკრძალვის მოხსნის შესახებ მიღებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს რეზონანსული გადაწყვეტილების შემდეგ. იუტაში, რომელმაც ასევე ნება დართო ამგვარ ქორწინებებს, ჯერჯერობით კვლავ მოქმედებს დროებითი აკრძალვა შტატის ხელისუფალთა საჩივრების გამო.**

* * *

**ნიუ-იორკის აეროპორტში ხანძრის დროს 18 კაცი დაზიანდა**

**ჯონ კენედის სახელობის აეროპორტის ერთ-ერთ სატვირთო ტერმინალში ცეცხლი გაუჩნდა ნაგვის კონტეინერს. მეხანძრეებს დასჭირდათ ნახევარი საათი, რომ გაერთმიათ თავი საქმისთვის. ქიმიკატები, რისი დაღვრის შესახებაც იტყობინებოდნენ თავდაპირველ ცნობებში, პარფიუმი აღმოჩნდა.**



# ვის ვუდგამთ ძეგლებს?



**ცნობილია, რომ თვით უდიდესი ფილოსოფოსნი: სოკრატე, პლატონი და არისტოტელე მეტად ცუდი აზრისანი იყვნენ ქალებზე, ხოლო დემოსთენე ამბობდა: „საყვარლები ჩვენ გვყავს სიამოვნებისათვის, ცოლები კი — სახლის მოსავლელად და შვილების გასაჩენადო.“**

**1304 წელს ფრანგებმა კანონითაც კი დაადგინეს, რომ საფრანგეთის ტახტზე ქალის დასმა არ შეიძლებოდა.**

## კოლხი მედეა

**საყოველთაოდ ცნობილია XVIII საუკუნის დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის აზრი ქალებზე. აი, მისი ნააზრევი: „სახელმწიფო საფრთხეში ვარდება, როცა მთავრობის მეთაური გახდება ქალი, ვინაიდან ის მოქმედებს არა ზოგადსაყოველთაო მოთხოვნების (პრინციპების) თანახმად, არამედ ხელმძღვანელობს შემთხვევითი აზრებითა და მიდრეკილებებით“.**

ქალები არაფერს წარმოადგენენ, გარდა მანქანებისა, რომლებიც ბავშვებს „აწარმოებენ“, ამას უკვე ნაპოლეონი ამბობს. მისი ბიოგრაფები ასეთ ფაქტსაც იხსენებენ: ერთხელ ჟერმენ დე სტალმა ხალხში ხმამაღლა ჰკითხა იმპერატორს, თუ ვინ მიაჩნდა პირველ ქალად მსოფლიოში, ახლაცა და გარდასულ დროშიც? ის, ვინც ყველაზე მეტი შვილი გააჩინაო, მკვახედ მოუჭრა ბონაპარტმა.

თუ ეს ჯერ კიდევ XVIII და XIX საუკუნეებია, თვით XX საუკუნეშიც კი კვლავ გამოიცემოდა წიგნები ასეთი სახელწოდებით: ,,ქალი ჩვენი თანადროულობის სენი.“

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ფორმა საზოგადოების განვითარებისა, სადაც ქალს შეეძლო მამაკაცთან თანასწორი უფლებით ესარგებლა. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ეპოქაში. იშვიათი გამონაკლისების გარდა, XX საუკუნემდე ქალს მამაკაცის სიმაღლეზე არ აყენებდნენ. უფრო მეტიც, ქალისადმი უპატივცემულობა და მისი უფლებების იგნორირება საზოგადოებისათვის დიდ ცოდვად არ ითვლებოდა. ოჯახში დედას იმდენი უფლება არ ჰქონდა, რამდენიც მამას. აშშ-ში, საფრანგეთში, ბელგიაში, ირლანდიასა და სხვა ქვეყნებში დედას სრული უფლება ეძლეოდა ბავშვზე მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ. საყურადღებოა, რომ თვით აშშ-შიც კი ქალმა საარჩევნო ხმა მხოლოდ 1920 წ. მიიღო. ე.ი. თითქმის იმ დროს, როცა ეს მოხდა თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში.

საქართველოში ქალისადმი პატივისცემის ნიმუშად ხშირად მოჰყავთ ზეპირსიტყვაობაში შემონახული კითხვა-პასუხი: ,,ვინ უნდა გშვას შენ? — ქალმა. ვინ უნდა გაგილიმოს? — ქალმა. ვინ უნდა აგატიროს? - ქალმა. ვინ უნდა დაგიტიროს? — ქალმა.

საქართველოში ქალის მაღალი უფლებრივი მდგომარეობის მაჩვენებელია ისიც, რომ მისთვის მინიჭებული იყო ის, რაც მთელ ქრისტიანულ სამყაროში აკრძალული იყო — განქორწინების უფლება.

ქართველი საზოგადოების ცხოვრების შესასწავლად, უაღრესად საინტერესოა XVI საუკუნეში დაწერილი „სამართალი კათალიკოზთა.“ ეს ძეგლი საერო საკითხებსაც შეეხებოდა, მათ შორის 23-ე მუხლი, რომელიც ქალთა უფლებებს იცავდა. მისი მიხედვით, ვინც უმიზეზოდ გაეყრებოდა თავის კანონიერ ცოლს, იგი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ნორმის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა საქართველოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ფეოდალური ევროპისგან განსხვავებით არ არსებობდა პირველი ღამის უფლებაც.

ამდენად, ქართველი ქალის ფენომენი უაღრესად საინტერესოა და ისიც არა მარტო ჩვენთვის. ქალი — ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. არანაკლებია ქართველი ქალის როლი ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელიც ყოველთვის ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი იყო. მაგრამ ქალი, რომლის შესახებაც მსურს გიამბოთ, არაფრით ჰგავს ყველა სხვა დანარჩენს. თუმცა, ისიც ჩვენი ქვეყნის შვილია, რომელმაც ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებებისგან, სრულიად განსახვავებულად გამოიჩინა თავი.

ბიჭვინთაში, ზღვის ნაპირზე უბრწყინვალესი ძეგლია აღმართული, რომელიც დიდმა ხელოვანმა მერაბ ბერძენიშვილმა კოლხ ქალს მედეას მიუძღვნა. ზღვისკენ გაჭრილი სხეული, წინ მიისწრაფვის, ნაღვლიანი სახით კი უკან, სამშობლოსაკენ იყურება; ძეგლი, რომლის გამოჩენამაც იმთავითვე საზოგადოებაში მძაფრი კამათი გამოიწვია და ეს კითხვა-პასუხები დროდადრო ჩვენს დრომდე კვლავაც გრძელდება: ვის ვუდგამთ ძეგლებს? მოღალატეებს?

მედეა პირველი ქალია ქართველ ქალთა ისტორიული პორტრეტებიდან. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მითოსი მედეასა და ოქროს საწმისზე ბერძნებისაგან არის შექმნილი, მაინც აქ ჩვენი სინამდვილეა მოცემული. ეს ლეგენდა დარჩა სიმბოლოდ ქართული მიწის და ნაციონალური სიმდიდრისა, რომელიც სიყვარულს ანაცვალეს.

თავად ისტორია კი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. XIV-XIII სს-ების ამბების გადმოცემით იწყება. კოლხეთის მეფე აიეტის გრძნეულ უმცროს ასულს, ხილვისთანავე თავდავიწყებით შეუყვარდა საბერძნეთიდან მოვლენილი ჭაბუკი იაზონი. იაზონმა მედეას შემწეობით მოიტაცა ოქროს საწმისი და მედეაც თან სამშობლოში წაიყვანა. თქმულებაც არგონავტების შესახებ, სწორედ ამ ამბავს ეძღვნება. ოქროს საწმისთან ერთად, აიეტმა მეფობაც დაკარგა. მისმა ნახევარძმამ პერსეს III—ემ მისი ადგილი დაიკავა.

ათი წელიწადი ცხოვრობდნენ მედეა და იაზონი ერთად. ჰქონდათ ოჯახი, ჰყავდათ შვილები და უეცრად... მედეამ შეიტყო საშინელი ამბავი: იაზონი მის მეუღლეობაზე ხელს იღებდა და ცოლად ირთავდა კორინთოს მეფის ასულს. მაშინ მედეამ მოღალატე ქმარს საცოლე მოუკლა. მოკლული სადედოფლოს ნათესავებმა შური იძიეს — მედეას შვილები დაუხოცეს (ამ საშინელი ამბიდან გაივლის დაახლოებით ათასი წელიწადი და დიდი ბერძენი მწერალი ევრიპიდე კორინთელთა შეკვეთით დაწერს საქვეყნოდ ცნობილ ტრაგედიას „მედეას“, სადაც მან კოლხი ქალი საკუთარი შვილების მკვლელად წარმოსახა).

## რა გრძნობა ამოქმედებს მედეას – სიამაყე თუ შურისძიება?

**ამ ორივე გრძნობა ისე არის ერთიმეორეს გადაბმული, რომ შეუძლებელია მათი გამოცალკევება. სიყვარულით გონებადაკარგულია მედეა, მისი სიყვარული არ არის ბერწი; მედეა არ არის ის მშვენიერი ელენე, რომლისთვისაც ინგრევა ილიონი. ჩვენ არ ვიცით მშვენიერ ელენეს მემკვიდრეობა, მედეა კი უკვე დედაა შვილებისა; აქაც მოცემულია მისი ქალობა. იაზონი ღალატობს მედეას და სხვა მეფის ქალზე იწერს ჯვარს, მაგრამ მედეა არ არის მორჩილი თავისი ბედისა. მას უნდა საშინელი შურისძიება, რადგან სიყვარულისთვის დათმო ყველაფერი: სამშობლო, მშობლები, საკუთარი ძმის სიცოცხლე, თავის რჩეულს მოატაცებინა ქვეყნის უმთავრესი განძი, როგორც სიმბოლო მისი სამშობლოს ძლიერებისა. მედეას მოქმედება რჩება, როგორც უმაგალითო შემთხვევა აქამდე მსოფლიოში სიყვარულის სახელით ჩადენილ შურისძიებებში. რა არის თუნდაც შექსპირის მავრის შურისძიება მედეასთან შედარებით: ჯერ კიდევ გაციებული არ არის დეზდემონას სხეული, რომ მავრი გონს მოდის, მაშინ, როცა, ეტლი მედეასი, რომელმაც ის აქამდე მოიყვანა, დღესაც ცეცხლმოკიდებულია.**

**ქართველი ქალის ფენომენი უაღრესად საინტერესოა და ისიც არა მარტო ჩვენთვის. ქალი — ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. არანაკლებია ქართველი ქალის როლი ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელიც ყოველთვის ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი იყო.**

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. თბილისი, (ლილო) ლოჭინის ხევი, (ნაკვ.05/001), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა –23 725 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, (ლილო) ლოჭინის ხევი, (ნაკვ.05/001) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 398 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 39,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 280 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 |

| | | |
|---|---|---|
| | მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №12

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით |
| | | სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 150 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 848 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 484,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 170 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 13

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიპსომეტრიული ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესების და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია, „ქარიანის" ვულკანური ფერფლის საბადო (კატეგორია - $B+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 217 500 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 34 340 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 434 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 7 068 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №14

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაღლას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „რუსთავის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 42 300 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღთაღლას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 439 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 643,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 488 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 |
| | დასრულების დრო და თარიღი | საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი №15

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების პროცესში არსებული ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე, „ენგური-II"-ის (უბანი სამხრეთ-დასავლეთი) ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 877 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 487,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 175 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 თებერვალს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ რაგბი




# ბილეთების ფასები „ერთა თასის“ მატჩებზე

**დადგინდა ევროპის „ერთა თასზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო შეხვედრების ბილეთების ფასები. საქართველოს რაგბის კავშირის პრეს-სამსახურის ცნობით, ბელგიის, რუსეთის და რუმინეთის ნაკრებებთან მატჩებისთვის ბილეთების ფასი, ფაქტობრივად, იდენტური იქნება.**

**1 თებერვალი. 15 საათი.** საქართველო – ბელგია, „ავჭალის სარაგბო სტადიონი“. ბილეთის ფასი: 3 ლარი

**22 თებერვალი. 17 საათი.** საქართველო – რუსეთი, „დინამო არენა“. ბილეთის ფასი: 3 და 5 ლარი.

**15 მარტი. 17 საათი.** საქართველო – რუმინეთი, „მ. მესხის სტადიონი“. ბილეთის ფასი: 3 და 5 ლარი.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ლეგიონერი

# შენგელია ლონდონშია და „ატლანტასთან“ მატჩისთვის ემზადება

**თორნიკე შენგელიას „ბრუკლინ ნეთსი“ ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ჩავიდა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) მორიგი შეხვედრისთვის ემზადება, რომელშიც ზაზა ფაჩულიას ყოფილ კლუბ „ატლანტა ჰოუქსს“ დაუპირისპირდება.**



შეგახსენებთ, რომ ოკეანისგაღმური გუნდებისთვის ევროპული ტურნეები ახალი ხილი სულაც არ გახლავთ, ამჯერად კი, საქმეში „ნეთსიც“ ჩაერთო და ნისლიან ალბიონზე ქართველი კალათბურთელიც იახლა.

შენგელია გუნდთან ერთად იმყოფება და ლონდონის „ჩელსისგან“ სამახსოვრო მაისურიც ერგო, რომელზეც მისი გვარი და ნომერია გამოსახული.

მოგეხსენებათ, როგორც „ჩელსის“, ასევე „ბრუკლინს“ რუსი მფლობელები – რომან აბრამოვიჩი და მიხეილ პროხოროვი ჰყავთ და ეს უკანასკნელი „ჰოუქსთან“ მატჩზე დასასწრებად თავადაც ჩაბრძანდა.

ისიც ვთქვათ, რომ „ნეთსის“ ერთ-ერთი ლიდერი კევინ გარნეტი „ჩელსის“ სტადიონ „სტემფორდ ბრიჯს“ ესტუმრა და ლონდონელთა ლეგიონერებთან – ანდრე შურლესთან და დემბა ბასთან სამახსოვრო სურათები გადაიღო, შემდეგ კი ჩემპიონთა თასიც ასწია.

ცნობისთვის, „ბრუკლინის“ და „ატლანტას“ ლონდონური დაპირისპირება დღეს თბილისის დროით 24 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ახალ ამპლუაში

# ზეედორფმა „მილანის“ მწვრთნელობა დაადასტურა

**ბრაზილიაში გამართულ პრესკონფერენციაზე კლარენს ზეედორფმა დაადასტურა, რომ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და „მილანის“ მწვრთნელი გახდება.**



ბოლო დრომდე ჰოლანდიელი „ბოტაფოგოში“ თამაშობდა და ხსენებულ კლუბში კარიერის გაგრძელებას კიდევ ნახევარი წელი აპირებდა, თუმცა, მასიმილიანო ალეგრის გადადგომამ და „მილანის“ შეთავაზებამ გეგმები შეაცვლევინა.

„მინდა განვაცხადო, რომ 22-წლიანი კარიერის შემდეგ ფეხბურთის თამაშს თავს ვანებებ. ეს რთული ღამის მერე გადავწყვიტე. ჩემი კარიერით კმაყოფილი ვარ. ასევე კმაყოფილი ვარ, რომ „ბოტაფოგოსთან“ ერთად ლიბერტადორესის თასზე გავაღწიე. კლუბი მენტალურად უფრო ძლიერი გახდა. გამოცდილება, რომელიც ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მივიღე, „მილანის“ მწვრთნელის რანგში ძალიან გამომადგება“ იუწყება football-italia.net-ი.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ სუმო

# წინააღმდეგობას ტოკიოშიც ვერავინ უწევს



**ქართველმა სუმოისტმა თეიმურაზ ჯუღელმა ჰაცუ ბაშო მარცხით გახსნა, თუმცა, მას შემდეგ მიჯრით 3 გამარჯვება იზეიმა და ამჟამად, საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაშიც იმყოფება.**

გაგამარუს შიკონათი ცნობილი ქართველი ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე წლის პირველ სუპერტურნირს აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირას წოდებით შეხვდა, ბაშოს მე-4 დღეს კი, აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირა, ეგვიპტელ ოსუნაარასის ჰატაკიკომით აჯობა.

ქართველი გოლიათი წარმატებული სვლის გაგრძელებას მე-14 მაეგაშირა მასუნოიამასთან ეცდება, რომელსაც ტოკიოში 2-2 მოგება-წაგება გააჩნია.

ამ დროისთვის, ჰაცუ ბაშოს 2 დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს. ესენი იოკოძუნა ჰაკუჰო და სეკივაკე გოეიდო არიან. ოძეკების – კაკურიუს და კისენოსატოს აქტივში 3-3 გამარჯვებაა, ხოლო კადობანში ჩაყენებულმა კოტოშოგიკუმ მე-2 მოგება უბრძოლველად მიითვალა.

საქმე ის გახლავთ, რომ კომუსუბი მიოგირიუმ, ვისაც ფუკუოკელი სეკიტორი დღეს უნდა გაჯიბრებოდა, ტრავმა მიიღო და ტოკიოს ტურნირი ნაადრევად დაასრულა.

◎ ინტერნეტიდან

# მაიკლ ჯორდანი გაკოტრდა

**უფულობა ის სენია, რომელიც რაგინდარა ცნობილ და ერთ დროს მრავლისშემძლე ადამიანს სწორედ მაშინ წამოეწევა ხოლმე, როდესაც ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად ელის. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორუპოვარ მაიკლ ჯორდანს ფული გაუჭირდებოდა? მაგრამ ეს მოხდა!**



კალათბურთის უდიდესი ლეგენდის მთელი ქონება რამდენიმე ბიზნესში იყო დაბანდებული და შავტუხა ვარსკვლავი შემოსავალსაც არ უჩიოდა, მაგრამ ბიზნესპარტნიორებმა მისი იმედები ვერ გაამართლეს და ახლა ჯორდანი იძულებულია, თავისი ერთ-ერთი ვილა გაყიდოს.

ილინოისის შტატში მდებარე მაიკლ ჯორდანის 3-სართულიანი უზარმაზარი და ულამაზესი ვილა „სულ რაღაც“ 14 მილიონ დოლარად იყიდება. კალათბურთელი თავის სახლს თავიდან უფრო ძვირადაც აფასებდა, მაგრამ რაკი კლიენტებმა კალთები არ დაახიეს, იძულებული გახდა 14 მილიონზე ჩამოსულიყო. ჯორდანი თავის გაკოტრების ზუსტ მიზეზებზე საუბარს ერიდება. ანდა რა არის ამაში სასაუბრო?!..

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ სატრანსფერო ბაზარი

# „ჩელსიმ“ დავიდ ლუისი 35 მილიონად შეაფასა

**ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ლონდონის „ჩელსი“ დავიდ ლუისის გაყიდვის წინააღმდეგი არ იქნება. Marca-ს ცნობით, „არისტოკრატები“ 26 წლის ბრაზილიელს 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევიან.**

მოგეხსენებათ, კატალონიის „ბარსელონა“ ლუისის ხელში ჩაგდებას ზაფხულიდან ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის. კატალონიელები უკანახაზელში 25 მილიონ ევროს იხდიდნენ, მაგრამ ლონდონელებმა ფეხბურთელი ამ ფასად არ დათმეს.

იანვრის სატრანსფერო სეზონის პირველ რიცხვებში „ბარსელონამ“ დავიდ ლუისის შეძენა კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ პასუხად კვლავ უარი მიიღო. „ჩელსის“ ხელმძღვანელობას ბრაზილიელის შენარჩუნება სეზონის ბოლომდე სურს, შემდეგ კი სატრანსფერო შემოთავაზებებს განიხილავს.

ცნობისათვის, ინგლისის პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში დავიდ ლუისი მოედანზე 10-ჯერ გავიდა.

**გიორგი შოთაძე**



# მოკლული დოლარისთვის?

**50 წლის წინათ, 1963 წლის 22 ნოემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი ცოლთან ერთად ღია ლიმუზინით მიდიოდა დალასის ქუჩაზე, როდესაც მას ცეცხლი გაუხსნეს. სანახაობა იყო საშინელი: ნასროლმა მსხვერპლის თავის ქალის ნაწილი მანქანის სახურავზე მოისროლა, გაოგნებულმა ჟაკლინ კენედიმ უაზროდ დაიწყო იმის აკრეფა, რომელიც ერთი წამის წინ მისი ქმრის მომღიმარი თავი იყო...**

**დაჭრილი პრეზიდენტი 35 წუთის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ გონზე არ მოსულა. კაცობრიობის შემეცნებაში კი ეს სიკვდილი დღემდე XX საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოცანად რჩება. თუმცა, რუსი მწერალი, ისტორიკოსი ნიკოლაი სტარიკოვი დარწმუნებულია, რომ იცის ამ სისხლიანი დრამის დამკვეთის სახელი.**

### არც ტყვია, არც ტვინი

**უცნაურობანი იმ საქმეში მართლაც ბევრია. სახეზე იყო გამოძიების აშკარა დაუინტერესებლობა მოვლენით, თანაც მაშინ, როდესაც ქვეყნის გენერალური პროკურორი მოკლულის ძმა რობერტ კენედი იყო. მიუხედავად ამისა, გამოძიებამ თავიდანვე დაიწყო დაპირისპირება საღ აზრთან.**

ავიღოთ ტყვიების ტრაექტორია. არის კორტეჟის მსვლელობის სამოყვარულო კინოჩანაწერი: ფირზე ჩანს, რომ სროლის დროს პრეზიდენტის სხეული გადავარდა უკან. წიგნთსაცავი კი, საიდანაც თითქოსდა ისროდა ყოფილი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, 24 წლის ლი ჰარვი ოსვალდი (ოფიციალურად სწორედ ის ითვლება ჯ.კენედის მკვლელად), იყო კორტეჟის უკან, და იქიდან გამოსროლილ ტყვიას მსხვერპლის სხეული წინ უნდა გადაეგდო. ეს ფიზიკის კანონებია! შემდეგ: შაშხანიდან, რომელიც არ იყო თვითსატენი თოფი (ესე იგი საკეტი უნდა გადაგერთო), ოსვალდმა თითქოს გააკეთა დაახლოებით 3 გასროლა 5 წამში. მოგვიანებით ამ შედეგის გამეორება ვერ შეძლეს საუკეთესო სნაიპერებმა. ოსვალდი კი სრულიად უნიჭო მსროლელად ითვლებოდა...

ტყვია, რომელიც კენედის თავში მოხვდა, რატომღაც არაა საქმის მასალებში. ოფიციალური ცნობა კი გასაოცარია: „ტყვია დაიშალა პრეზიდენტის სხეულში". თითქოს საუბარი შაქრის ნატეხზე იყოს, ცხელ ჩაიში რომ მოხვდა... საიდუმლოდ გაქრა დაღუპულის თავად ტვინიც, რომელიც ექსპერტიზაზე წაიღეს. შემდეგ კი მოხდა უცნაური ოდენობის (ორმოცდაათზე მეტის!) იმ ხალხთა გარდაცვალება, ვინც კენედის მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ქირურგი, რომელიც პრეზიდენტის სხეულის გაკვეთას აწარმოებდა, ნახეს თავის სახლში დახვრეტილი. ავტოკატასტროფაში დაიღუპა ტაქსის მძღოლი, რომელსაც ოსვალდი მიჰყავდა. იგივე ბედი ეწია კენედის მკვლელობის ერთ-ერთ მოწმეს, ვინც დაინახა „ორი მამაკაცი, რომლებიც გალავნის იქიდან ისროდნენ". მოკლეს პოლიციელი და ჟურნალისტი, რომლებიც ოსვალდის სახლში იყვნენ...

თავად ოსვალდი დააპატიმრეს, დანაშაული მას არ უღიარებია. ორი დღის შემდეგ კი პოლიციის სამმართველოდან ციხეში გადაყვანის დროს მასთან მშვიდად მივიდა უცნობი და პირდაპირ დაახალა ტყვია. შესაძლებელია განა ეს – აი, ასე უბრალოდ მიხვიდე და მოკლა სახელმწიფოს მეთაურის მკვლელი? სხვათა შორის, „მკვლელის" მკვლელსაც ჯეკ რუბის ელოდება სამწუხარო დასასრული: 3 წლის შემდეგ ის მოულოდნელად დაავადდა სასიკვდილო ავადმყოფობით და მალე გარდაიცვალა. და ყველა კვალიც დაიფარა...



თავის ქვეყანაში ვისთვის შეიძლებოდა გადაეჭრა გზა ჯონ ფიცჯერალდ კენედის?

### დიდი თამაში

**ვის შეეძლო უზრუნველეყო გამოძიების ასეთი უცნაური საქციელი, ექმიტანილთა ასეთი უცნაური დაცვა, რომ აღარაფერი ითქვას თავად პრეზიდენტის სუსტ დაცვაზე? ცხადია, რომ შეთქმულება პრეზიდენტის წინააღმდეგ (სხვათა შორის, სიტყვა „შეთქმულება" გაისმოდა 1979 წელს კონგრესის კომისიაში, მაგრამ შემდეგ სპეცსამსახურების მოთხოვნით მისი შედეგები გააუქმეს) გაჩნდა არა რომელიღაც გარეშე ძალების– სსრ კავშირის, კუბელი ემიგრანტების და ა.შ.– მხრიდან. არავის ასეთი რამ არ შეეძლო. შეთქმულება გაჩნდა თავად ამერიკის სახელმწიფოში, თანაც რომელიღაც მის ძლიერ ნაწილში, მაგრამ ვისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელსაყრელი პრეზიდენტის გარდაცვალება?**

პასუხი ასეთია: დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე კენედიმ ხელი მოაწერა № 1110 ბრძანებულებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს ნებას აძლევდა მოეხდინა ეროვნული ვალუტის ემიტირება ფედერალური სარეზერვო სისტემის გვერდის ავლით. ამის უკან იკითხებოდა სურვილი – გამოეყვანათ ფედერალური სარეზერვო სისტემა ფინანსური თამაშიდან, რომელშიც იმ დროისთვის ბანკირებმა უკვე დაიწყეს თამაში. მაგრამ ამის ნაცვლად თამაშიდან თავად კენედი გამოიყვანეს...

შეხედეთ, რა აწერია ამერიკულ ფულად კუპიურებს: „Federal Reserne Note" ფედერალური რეზერვის ბანკნოტი. თანაც, როდესაც ადრე ბანკნოტებზე წერდნენ, „United States Note" „ე.ი. შეერთებული შტატების ბანკნოტი". იგრძნობა სხვაობა? ფედერალური სარეზერვო სისტემის მონოპოლია დოლარის ემისიაზე (ეს მსოფლიოს ყველაზე მომგებიანი მონოპოლიაა!) შემონახულია 1913 წელს პრეზიდენტ ვ.ვილსონის მიერ ხელმოწერილ საკანონმდებლო აქტზე. საკმარისია ერთი ამგვარი აქტი, რომ დაანგრიო მონოპოლია. ჯონ კენედიმ ეს ვერ შეძლო (მისი ბრძანებულება № 1110 არ იქნა გაუქმებული, მაგრამ, ფაქტობრივად, არ სრულდებოდა), მაგრამ ამის გაკეთება შეეძლო ეცადა მის ძმას – სწორედ იმ გენერალურ პროკურორს...

5 წლის შემდეგ ჯონის დაღუპვიდან რობერტი თავად იყრიდა კენჭს პრეზიდენტობაზე. და იმ დღეს, როდესაც მოიგო პრაიმერიზი თავისი პარტიიდან, იგი მოკლეს საეჭვო ვითარებაში, ყველაზე საალბათოდ, თავისივე მცველმა. საინტერესოა, რომ რობერტ კენედის მკვლელობა მოხდა ზუსტად 5 წლის შემდეგ სწორედ იმ ბრძანებულების ხელმოწერიდან, როდესაც მისი ძმა დაიღუპა. როგორც ჩანს, გავლენიანმა ბანკირებმა, რომლებიც ფედერალური სარეზერვოს უკან იდგნენ, მისცეს ნიშანი: ის კლანი, ვისი წარმომადგენლებიც შეეცადნენ ეღალატათ სისტემისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში ამიერიდან ვერანაირ როლს ველარ შეასრულებდა. ასეც მოხდა.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## სანთელი

### შერმადინ ქალდანი



გარდაიცვალა **შერმადინ ქალდანი**. შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი, უღალატო მეგობარი, მშობლიური სვანეთის ტრადიციების, თბილისის ერთგული და მოტრფიალე, შესანიშნავი მეოჯახე. კოლეგისა და მეგობრის გარდაცვალებით დამწუხრებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები გულისტკივილით უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს ამ დიდებული ქართველის ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლას.

---

**ბაღათერ არაბული და ჟურნალ „ცისკრის" თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, კეთილშობილი პიროვნება და მამულიშვილი**

**შერმადინ ქალდანი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**დედა ეთერ კაპანაძე, შვილები ანი, თათია ხვადაგიანები, ძმა გია ფირცხალავა, ძმისწულები ნინი, გუგა, მარიამ ფირცხალავები, ბიძაშვილები მალხაზ, ვიოლეტა ფირცხალავები, მზია კაპანაძე, დეიდაშვილები თამაზ, ნინო თევდორაძეები, მამიდა ნატრული ტაბიძე, მამიდაშვილები მაკა, ნინო ჭკადუები, რძლები ეკა გოგოლაძე, მანანა პატარაია, სიძე რევაზ კვირიკაშვილი, მაზლი ბადრი ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ქეთევან გრიგოლის ასული ფირცხალავა**

**პანაშვიდი 16, 17 I, ი. ჭავჭავაძის პრ. მე-2 ჩიხი. №4/8, მე-8 სართული (55-ე სკოლის მოპირდაპირედ). გამოსვენება 18 I, 14 სთ. წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაო).**



---

**ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურის" წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ანსამბლის უცვლელი წევრი, სიყრმის ერთგული მეგობარი**

**ქეთი ფირცხალავა**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

---

**მეუღლე მზია ჩუხუა-სოფია, შვილები ელგა, ეკა სოფიები, სიძეები კობა ნაყოფია, მალხაზ შაქარიშვილი, რძალი ხათუნა სხირტლაძე, შვილიშვილები ნიკა, ნატა, ანა, შვილთაშვილი ნიკა სოფია, ძმები ოთარ, მურთაზ სოფიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**ნუგზარ (ნეგუს) ლავრენტის ძე სოფია**

**პანაშვიდი 16, 17 I, 16 სთ. (თბილისი, ვაჟა-ფშაველას I კვარტალი, 19 კორპუსი, III სადარბაზო, ბინა 23). დაკრძალვა 18 I. გამოსვენება საბურთალოს (გაზდელიანის) ეკლესიიდან 14 სთ. დაკრძალვა საბურთალოს (კერძო) სასაფლაოზე.**

---

**შვილები გია, ნინო გვეტაძეები, ძმა რამაზ სანოძე, რძალი ხათუნა გონგლიაშვილი, სიძე ვახტანგ უგულავა, შვილიშვილები სოფო, ვაჟა გვეტაძეები, კახა, მარიამ უგულავები, მძახლები მურად, ლეილა უგულავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ცისანა სანოძე-გვეტაძისა**

**პანაშვიდი 16, 17 I, 16 სთ. დაკრძალვა 18 I, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №31[3]**

---

**გურამ, ლია გვეტაძეები იუწყებიან რძლის**

**ცისანა სანოძის**

**გარდაცვალებას.**

## ჯანდაცვა

### რამდენიმე მედიკამენტი აფთიაქებში რეცეპტის წარდგენის შემთხვევაში გაიყიდება



**როგორც „ინტერპრესნიუსს" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან აცნობეს, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველ სამკურნალო საშუალებების ნუსხას" დაემატა რამდენიმე ფარმაცევტული საშუალება, კერძოდ, ბაკლოფენი, გაბაპენტინი, დექსტრომეტორფანის შემცველი კომბინირებული პრეპარატები (გარდა სიროფებისა), ზოპიკლონი, ზალეპლონი და ტროპიკამიდი. ისინი ფარმაცევტული პროდუქტების II ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.**

როგორც სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული ცვლილების მიზეზს წარმოადგენდა უკანასკნელ პერიოდში ჩამოთვლილი ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის არამიზნობრივი გამოყენება არათერაპიული დოზებით, ნარკოტიკული თრობის მისაღწევად. მათი უკანონო ბრუნვა და ბოროტად მოხმარება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. „აღნიშნული ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევაზე (ექსპორტ-იმპორტი, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა) გავრცელდება იგივე კონტროლის მექანიზმები, რაც განსაზღვრულია ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე.

ბრძანება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 14 იანვარს და ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

## ალიან-ჩალიანი

### მამაკაცი ყინვისგან გარდაიცვალა

**შიდა ქართლის სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ხაშურის რაიონში, სოფელ ოქროს სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი მკვიდრი , 73 წლის ჯემალ ქასოშვილი გარდაცვლილი იპოვეს. ჯემარ ქასოშვილს ახლობლები ორი დღე ეძებდნენ. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად გაყინვა სახელდება.**

**მოხუცი საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით იმყოფებოდა, თუმცა, სავარაუდოდ, ძლიერი ყინვის გამო სახლამდე ველარ მიაღწია.**

ინტერპრესი

რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76.

ტესტი

# შეგიძლიათ სიზმრების ახსნა?

**მათში ყოველთვის არის ჩამალული მნიშვნელოვანი გზავნილი, მათ შეუძლიათ ილაპარაკონ სურვილზე ან განგაშზე, შეუძლიათ დაგვეხმარონ, მივიღოთ გადაწყვეტილება და გაგვაფრთხილოს კიდეც. მაგრამ თავდაპირველად უნდა ვისწავლოთ სიზმრების ახსნა. გთავაზობთ შეამოწმოთ თქვენი თავი ამ „სიზმრის“ საკითხში**

**1. დილით როდესაც იღვიძებთ, გახსოვთ რა ნახეთ სიზმრად?**

ა) არა, სიზმრები ვერ გამომაქვს, ხოლო თუ ვხედავ, ისინი მავიწდება, როგორც კი გავიღვიძებ.

ბ) მახსოვს ნანახი კოშმარი, დანარჩენი სიზმრები – ძალიან ბუნდოვანია ან მასში ბევრი მოვლენაა ერთმანეთში არეული.

გ) შესანიშნავად მახსოვს, თანაც დეტალებში.

**2. თუ უამბობთ ხოლმე ვინმეს ყველაზე ნათელი ან უცნაური სიზმრების შინაარსს?**

ა) დიახ, ჩემს მეუღლეს, როდესაც ღამით ფეხზე წამოვიჭრები ხოლმე ნანახი სიზმრისგან.

ბ) რატომ? არ მიმაჩნია, რომ სახეთა ერთმანეთთან დაუკავშირებელი აბლაბუდა ვინმესთვის იყოს საინტერესო ან ამას ჰქონდეს რაიმე აზრი.

გ) დიახ, ჩემს მეუღლეს ან მეგობარს – ზოგჯერ სიზმრები ისეთი უცნაურია...



**3. შეგიძლიათ თქვათ, რომ ის, რასაც როდისმე აკეთებდით, უკვე ნანახი გქონდათ სიზმარში?**

ა) ასეთი რამე არ მახსენდება, შეიძლება უბრალოდ რაიმე მოქმედებაა, რომელსაც ყოველდღე ასრულებ.

ბ) ასეთი რამე იყო ხოლმე, მაგრამ ყველაფერს განვითარებულ წარმოდგენას მივაწერ.

გ) დიახ, ხშირად მიჩნდება დეჟავიუ.

**4. თუ გწამთ წინათგრძნობის, ტელეპათიისა და ზებუნებრივისა?**

ა) რაღაც ამაში არის, და შემიძლია, მოვიყვანო მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.

ბ) არა მწამს, მაგრამ მირჩევნია, კომენტარი არ გავუკეთო: ფიქრები ასეთ რამეზე, ცოტა არ იყოს, მაშინებს.

გ) არა. ეს ყველაფერი გაუნათლებელმა ადამიანებმა მოიგონეს ან იმათ, ვინც ამით ფულს აკეთებს.

**5. რომელი დისციპლინები მოგწონთ ყველაზე მეტად?**

ა) მედიცინა, ბიოლოგია, ისტორია.

ბ) მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია.

გ) ფსიქოლოგია, ლიტერატურა, მუსიკა.

**6. თუ უყურებთ ხოლმე საშინელებათა ფილმებსა და ფანტასტიკას?**

ა) პრაქტიკულად არ ვუყურებ – ყველაფერი ნამეტანი მოგონილია.

ბ) ვუყურებ და მერე ცუდად მძინავს.

გ) ეს ჩემი საყვარელი ჟანრებია, და თუ ფილმი კარგია, ყოველთვის თანავუგრძნობ გმირებს.

**7. წარმოიდგინეთ, რომ სიზმარში თავს ხედავთ ტიტველს. რას ნიშნავს ეს, თქვენი აზრით?**

ა) თავისუფლებას, რწმენას, ბედნიერებასა და სექსუალურ სურვილს.

ბ) ცხადია, ეს დაუკავშირდება სირცხვილის გრძნობას, იმას, რომ არ გწამს საკუთარი თავისა.

გ) ალბათ მცივა, კარგად უნდა დამეფარა საბანი.

**8. რას გააკეთებთ ხვალ, თუ ამ ღამით ნახავთ სიზმარში, რომ თქვენი პარტნიორი არაა თქვენი ერთგული?**

ა) არაფერს. ვახშმად რაღაც მსუბუქ რამეს მოვამზადებ, იქნებ ეს დამეხმაროს, კარგად გამოვიძინო.

ბ) ვინერვიულებ ამის გამო.

გ) მოვუყვები ამას მას, ღიმილის შეუკავებლად – რაც მხოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

**9. ყველაფერი შებრუნებულად რომ იყოს და თქვენმა პარტნიორმა გიამბოთ თავისი სიზმარი, რომელშიც თქვენ მას ღალატობთ?**

ა) ვეტყვი, რომ სერიოზულად ნუ მიიღებს ამას და ბავშვივით ნუ იქცევა.

ბ) ავუხსნი, რომ ამგვარი რამ არასოდეს მოხდება.

გ) შევეკითხები, ვისთან ერთად მნახა, რომ გავიგო, მისი აზრით, რისი უნარი მაქვს მე.

## შეაჯამეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 |
| ბ | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 |
| გ | 3 | 3 | 3 | 1 | 3 | 3 | 1 | 3 | 3 |

**27-22 ქულა:** თქვენ მზად ხართ გაერკვეთ თქვენს სიზმრებში. თქვენ კარგად გაქვთ განვითარებული წარმოდგენა, და როდესაც გძინავთ, წარმოდგენა სრულად მუშაობს. თქვენ კარგად გესმით სიზმრები, აკეთებთ ორიენტაციას მათ ნიშნებზე და ეს უკანასკნელები გეხმარებიან მონახოთ გამოსავალი ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციიდან. თქვენთვის არაა ძნელი გაავლოთ პარალელი წარმოსახვით მოვლენებსა და საკუთარ ცხოვრებას შორის, თქვენს სიზმრებსა და რეალობას შორის მისი პრობლემებითა და სურვილებით. ეს უნარი გაძლევთ უპირატესობას იმისდა მიხედვით, თუ როგორ ავითარებთ მას.

**21-15 ქულა:** თქვენ შეგიძლიათ სიზმრების ინტერპრეტირება, მაგრამ შიში ბლოკავს თქვენს შესაძლებლობებს. კოშმარები, ერთმანეთში არეული სახეები და უხერხულობის გრძნობა – ეს ყოველივე არის შიში, რომ დაკარგავთ წარმოდგენას და კონტროლს სიტუაციაზე. ეცადეთ „გაშიფვრის“ დროს შეინარჩუნოთ დადებითი განწყობილება: თუ გესიზმრათ, რომ საყვარელმა ადამიანმა გიღალატათ, ამის გამო თავს ნუ დაკარგავთ. დაფიქრდით: ალბათ, თქვენ ცოტა დროს უთმობთ თქვენს რჩეულს.

**14-9 ქულა:** ძნელია გაერკვეთ თქვენს სიზმრებში. თქვენ არ არსებობთ რეალური სამყაროს გარეშე, უნდობლობით ეპყრობით ყოველივეს, რისი ახსნაც, თქვენი თვალსაზრისით, შეუძლებელია. თქვენ პრაგმატიკოსი და სკეპტიკოსი ხართ,თქვენი წარმოდგენები ვერსად ნავარდობენ. როგორც ნებისმიერ ადამიანს, ღამით თქვენ ნახულობთ სიზმრებს, მაგრამ თქვენი გონება უარს ამბობს მათს გახსენებაზე! შეეცადეთ, დილით გაიხსენოთ, რა ნახეთ სიზმრად და შეეცადეთ მონახოთ კავშირი რეალურად მიმდინარე ამბებთან, და თქვენ მასში დაინახავთ აზრს.

ერიჰა!

## გრძელფეხა ქალიშვილები



**ბრიტანელი** ალექსანდრა რობერტსონი (ფოტოზე იგი მარჯვნივაა) დიდად აღშფოთდა, როცა შეიტყო, რომ ანასტასია სტრაშევსკაია (მარცხნივ) რუსეთში ყველაზე გრძელი ფეხების მქონედ აღიარეს.

საქმე ისაა, რომ მისი ფეხების სიგრძე 119 სანტიმეტრია, ანასტასიასი კი 106 სანტიმეტრი. თუმცა, ერთი კია, რომ სვეტლანა პანკრატოვამდე, რომელიც 132 სანტიმეტრის ფეხებზეა „შემდგარი“ ვერც ერთი ახლოსაც ვერ მიდის.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

**– ამხანაგო ბერია, რაღაც დიდი ხანია, არ ჩანან გადაცემის „რა, სად, როდის“ მონაწილენი, რაშია საქმე? – კაბინეტში ბოლთას სცემს სტალინი.**

**– იმათ საჭიროზე მეტი რამ იცოდნენ, ამხანაგო სტალინ.**

* * *

**პეტკა დილის 4 საათზე გალეწილი მთვრალი ბრუნდება სახლში თავის ძმაკაც ვასიასთან ერთად.**

**– პეტკა, რა დროს ბრუნდები სახლში, თანაც როგორ მდგომარეობაში? – ეკაპასება ცოლი. – მორჩა, დაისჯები, ერთი თვე სექსი არ გექნება... არც შენ, ვასკა, სხვათა შორის...**

* * *

**– დღეს ახალი საათი და საფულე მივიღე სრულიად უფასოდ! ეს პისტოლეტი თითქოს ჯადოსნურია.**



* * *

**– ამბობენ, ისეთ ქალზე დაქორწინებულხარ, რომელზეც თურმე არც კი გიოცნებია, – ეუბნება ტიპი ძმაკაცს.**

**– მართალს ამბობენ... შენი აზრით, შემეძლო ასეთი ალქაჯსა და სიმახინჯეზე მეოცნება?**

* * *

**– ესე იგი, ავეჯს და ყველა საოჯახო ნივთს თანაბრად, უსკანდალოდ გავიყოფთ, თანახმა ხარ? – ეკითხება კაცი ქალს.**

**– თანახმა ვარ.**

**– იმაზეც მოვილაპარაკოთ, რომ ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებს შევინარჩუნებთ... როცა ერთმანეთს შევხვდებით, ერთურთს ნორმალურად მივესალმებით...**

**– აუცილებლად.**

**– და თვით გაყრის პროცესშიც კორექტულად მოვიქცევით, არავითარი საყვედურები და გამოხდომები არ იქნება. თანახმა ხარ?**

**– თანახმა ვარ.**

**– შესანიშნავია. ახლა ქორწინების თარიღის დანიშვნაღა დაგვრჩა...**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24